MES 9 21 0001432218

29/12/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 15.12.2021
სხდომის დაწყების დრო: 15:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 23:58სთ
სხდომის თავმჯდომარე: ნინო იმნაძე (I, II, III, IV)
სხდომის თავმჯდომარე: ნიკა თიკანაშვილი (V)
საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ნინო იმნაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
2. **მარიამ შენგელია -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
3. **ანა ფირცხალაშვილი -** შპს "საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" სამეცნიერო კვლევების მიმართულებით ვიცე-რექტორი;
4. **გაიანე სიმონია -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
5. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
6. **გაიოზ ფარცხალაძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

7. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
8. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
9. **გიორგი ღაღანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
10. **დავით კაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
11. **დიანა მჭედლიშვილი** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
12. **ეკატერინე ნაცვლიშვილი** - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
13. **თამარ ჩხეიძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
14. **თეონა მატარაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
15. **მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
16. **ნინო ინასარიძე** - "CNFA საქართველოს" გარემოს დაცვის მენეჯერი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე მოწვეული წევრები:

1. **გიორგი ჩილინგარაშვილი** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი;
2. **ხათუნა თოდაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი,ნარკოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი;
3. **ივანე აბიათარი** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის მედიცინისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი,დეპარტამენტის/სკოლის - "მედიცინის სკოლა" ხელმძღვანელი,ამავე უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
4. **ნინო ოკრიბაშვილი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, მედიცინის ფაკულტეტის ფსიქიატრიისა და სამედიცინო ფსიქოლოგიის კათედრის პროფესორი;
5. **თამარ ვალიშვილი** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სამკურნალო მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ამავე უნივერსიტეტის პროფესორი;
6. **ბიძინა კულუმბეგოვი** - ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრის კლინიკური განვითარების განყოფილების ხელმძღვანელი, შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის"მედიცინის ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი;
7. **ზაზა ავალიანი** - შპს "ევროპის უნივერსიტეტის"მედიცინის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი;
8. **მარინე გელანტია** - შპს "აკადემიკოს ო.ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის" გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

9. **მაია ზალდასტანიშვილი** - სს "ინფექციური პათოლოგიის შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის" ინფექციური საავადმყოფოს მიმღები განყოფილების უფროსი,ექიმი ინფექციონისტი;
10. **დავით კობეშავიძე** - შპს "იმედის კლინიკის" დირექტორი;
11. **ლევან რატიანი** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის გენერალური დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ანესთეზია-რეანიმაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი;
12. **გივი ჯავაშვილი** - საქართველოს ბიოეთიკის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საოჯახო მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;
13. **ივანე ჩხაიძე** - კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების,შეფასებისა და დანერგვის ეროვნული საბჭოს წევრი, მ იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორი,სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
14. **ხათუნა ზალდასტანიშვილი** - სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს პროფესიული რეგულირების სამმართველოს უფროსი;
15. **შორენა წიკლაური** - შპს "ევროპის უნივერსიტეტის"ასისტენტ პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის სიმულაციური ცენტრის ხელმძღვანელი;
16. **ნათია სხვიტარიძე** - სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მრჩეველი გლობალური ჯანმრთელობის საკითხებში;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომ ადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ნიკა გიგაური	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	თორნიკე ბექაქური	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
4	ანნა ლელაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
5	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ეკა ეკალაძე	**შპს კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტი**	რექტორი	I, II
2	არჩილ უნდილაშვილი		ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	I, II
3	ერეკლე კალატოზიშვილი		ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი	I, II
4	ნინო თევზაძე		მედიცინისა და სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანი	I, II
5	სოფიო იდაძე		ხარისხის სამსახურის სპეციალისტი	I, II
6	ნინო შიუკაშვილი		ხარისხის სამსახურის	I, II
7	გვანცა ვარდოსანიძე		სპეციალისტი სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტი	
8	სოსო გოგილაძე	**შპს საქართველოს უნივერსიტეტი**	პრორექტორი სამეცნიერო დარგში	III
9	არჩილ ჯანგირაშვილი		აკრედიტაციის განყოფილების უფროსი	III
10	ქეთევან გეგიაძე		საერთაშორისო აკრედიტაციის განყოფილების უფროსი	III
11	ნათია კალაძე		სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დირექტორი	III
12	შალვა ძებისაშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი	III
13	მარიამ ბანძელაძე		ლექტორი, მკვლევარი	III
14	ზაზა რუხაძე	**შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი**	უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო-სამეცნიერო და ხარისხის უზრუნველყოფის დარგში; სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლის დეკანი;	IV
15	ქეთევან ჯინჭარაძე		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;	IV
16	გიზო ჭელიძე		საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;	IV
17	გიო ჩქოფოია		უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი;	IV

18	ბაქარ ბერეკაშვილი		პროფესორი	IV
19	ნოდარ შოშიაშვილი		პროფესორი	IV
20	დავით მახვილაძე	სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	V
21	ნუგზარ წერეთელი		ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანი	V
22	მაია მშვილდაძე		ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე	V
23	მამუკა მაისურაძე		ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	V
24	დენიტა ბიბილეიშვილი		„ქიმიის“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები	V

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაციაე ლექტრონულის აშუალებითმ ონაწილეობის შეს ახებ	საკითხი
1	მიტრა ამინი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ჯილდა ჭეიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ირინე ფხაკაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	ირაკლი გაგუა	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	გიორგი აბულაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
6	ვლადიმერ მარგველაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	ეკატერინე ბეშკენაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	ვერა ხუნძაკიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
9	ნინო ქიმერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
10	დავით მაკასარაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
11	ნინო ფავლენიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
12	გვანცა აბდალაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
13	თამარ გვიანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
14	ქეთევან ჩუკურიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III

15	ირაკლი მანველიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
16	ეკა დარბაიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
17	ქრისტინე ჩიხლაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
18	რეზო კორაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V
19	ელენე კაცაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
20	ია ნაცვლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V
21	თამარ ხატისაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ნინო იმნაძემ (I – IV საკითხი) და საბჭოს წევრმა ნიკა თიკანაშვილმა (V საკითხი).

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 15:00 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. შპს - კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მედიცინის" ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის "საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა.
4. შპს - ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის "საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა.
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ქიმიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღი სწესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით:
√ არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. შპს - კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მედიცინის" ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

3. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის "საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა.
4. შპს - ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის "საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა.
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ქიმიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1.პირველი საკითხი : შპს - კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მედიცინის" ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციას აგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მედიცინა 0912
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	360
14	განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, გუდამაყრის ქ.#4 ვ, საფოსტო ინდექსი: 0141 საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოსწევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი
თვითაცილება- გაიანე სიამონია
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტები სპოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ წინამდებარე მიმოხილვა განხორციელდა საქართველოში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გზამკვლევის მიხედვით. თვითშეფასების ანგარიში და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები ექსპერტთა ჯგუფს გაეგზავნა დაწესებულებაში ვიზიტამდე. ექსპერტთა ჯგუფი ხუთი ექსპერტისგან შედგებოდა. ჯგუფს დავალებული ჰქონდა გამოეკვლია სასწავლო პროგრამა თვითშეფასების, სხვადასხვა დოკუმენტებისა და მონაცემების გამოყენებით. გასაუბრება ჩატარდა პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფთან, ადმინისტრაციულ გუნდთან და ა.შ. ექსპერტთა ჯგუფმა განსაზღვრა შეფასების ის ნაწილები, რომლებიც ყველაზე მეტად ემთხვეოდა მათ გამოცდილებას. თუმცა ჯგუფის თითოეულმა წევრმა განიხილა ყველა დოკუმენტი დაწესებულებაში ვიზიტამდე. ვიზიტისას ჯგუფმა გარე შეფასების თაობაზე ნახა მხოლოდ დოკუმენტები, რომელთაც შეეძლო დამატებითი ინფორმაციის მოწოდება, თუმცა შეთანხმებულ იქნა მათი გადმოგზავნა შემდეგ დღეს. დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 3-4 ნოემბერს.
შესავალ განყოფილებას მოჰყვა ვიზიტები სამედიცინო სკოლის დაწესებულებებში, სასწავლო კლინიკებსა და ერთ ზოგად საავადმყოფოში. ვიზიტები მოიცავდა სასწავლო აუდიტორიებს, სხვადასხვა მანეკენით აღჭურვილ უნარების ლაბორატორიულ ცენტრს, სტუდენტურ სივრცეებს, სასწავლო დაწესებულებებს, ლაბორატორიებს, ბიბლიოთეკას, ელექტრონულ რესურსებს და სტაციონარული და ამბულატორიული საავადმყოფოების კლინიკებს. აკადემიურმა პერსონალმა ახსნა, როგორ მუშაობენ სტუდენტებთან და აქვთ სხვადასხვა პაციენტთან წვდომა სასწავლო გარემოში. ექსპერტთა ჯგუფის ყველა წევრს საშუალება ჰქონდა ინტენსიურად განეხილა საკითხები. მათ კითხვები დაუსვეს უნივერსიტეტის წარმომადგენლებს და წვლილი შეიტანეს უნივერსიტეტისთვის უკუკავშირის მიწოდებაში ვიზიტის დასასრულს. აღნიშნულ წარმომადგენლებთან ყველა შეხვედრისა და პროგრამის სხვადასხვა მახასიათებლის შესახებ დისკუსიის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა პირველადი დასკვნები.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული შეფასების პროცესი ეფუძნება საგანმანათლებლო პროგრამის სიღრმისეულ ანალიზს და დოკუმენტების კრიტიკულ მიმოხილვას, ისევე, როგორც საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების გზებსა და საშუალებებს. თვითშეფასების ანგარიში იყო კარგად სტრუქტურირებული და მკაფიო. თვითშეფასების ანგარიშში ნახსენები ყველა განცხადება ადეკვატურად იყო აღწერილი და ეფუძნებოდა შესაბამის დოკუმენტებსა და მტკიცებულებებს. მთლიანობაში პროგრამა, ყველა ნაწილში, შეესაბამება უმაღლესი განათლების აკრედიტაციის სტანდარტებს.
რაც შეეხება საუკეთესო პრაქტიკას:

1. აკადემიური პერსონალისა და პედაგოგების ენთუზიაზმი და ძალისხმევა გადამწყვეტ როლს ასრულებს პროგრამის წარმატებაში.
2. უნივერსიტეტისა და კლინიკის მონახულებისას, შევხვდით პირებს, რომლებიც მზად არიან მიიღონ სტუდენტები.
3. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა, ასევე პროგრამის სასწავლო მასალები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
4. პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით.
5. აკადემიური პერსონალი კარგად იყო მომზადებული სწავლების, სწავლის და შეფასების ახალ მეთოდებში და ა.შ.

შპს - კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მედიცინის" ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რჩევები:

1, ინგლისური ენის საერთაშორისო გამოცდები, როგორიცაა TOEFL ან IELTS, რეკომენდებულია უცხოელი სტუდენტებისთვის ინგლისურენოვანი ქვეყნებიდან.

2.რეკომენდებულია მეტი არჩევითი კურსის შეტანა ძირითადად კვლევის სფეროში ბაკალავრიატის სამედიცინო სასწავლო პროგრამის კურიკულუმში.

3. უნივერსიტეტს ვურჩევთ, რომ დასკვნითი და შუალედური შეფასებების გასაჩივრებისთვის ჰქონდეს უფრო გამჭვირვალე მექანიზმი; საჩივრებისთვის ცალკე დანაყოფი, თავისი გზამკვლევებით, უფრო მეტ ინფორმაციას მიაწვდიდა სტუდენტებს მათი უფლებების შესახებ.

4. გირჩევთ მომავალში ეტაპობრივად გამოყოთ მეტი ბიუჯეტი სტუდენტების კვლევითი საქმიანობისთვის.

5. გარე შეფასებისთვის რეკომენდაციას გაძლევთ ემორის უნივერსიტეტის ექსპერტების დამატებაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

პროგრამის ხელმძღვანელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ ვიზიტი განხორციელდა ადგილზე და ეს იყო პირველი შემთხვევა, მას შემდეგ რაც დაიწყო პანდემია. შპს - კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტი დაარსდა 2019 წელს. უნივერსიტეტის დაარსების იდეა იყო მსოფლიოში სამედიცინო განათლების მსურველი გაზრდილი კონტინგენტისთვის კიდევ ერთი ახალი საგანმანათლებლო სივრცის შექმნა, რომელიც ორიენტირებული იქნებოდა საერთაშორისო ბაზარზე. უნივერსიტეტის დაფუძნების იდეა გაამყარა საერთაშორისო თანამშრომლობის ძლიერმა კომპონენტმა - ამერიკული მხარის თანადგომამ, აქტიურმა მხარდაჭერამ და სურვილმა, მონაწილეობა მიეღო ქართულ სივრცეში საერთაშორისო სტანდარტების მქონე სასწავლო კერის შექმნაში, რომელსაც მჭიდრო კავშირი ექნებოდა ამერიკულ სამედიცინო განათლებასა და ჯანდაცვის სისტემასთან. ემორის სამედიცინო სკოლა აშშ-ის ერთ-ერთი ძლიერი სამედიცინო კერაა, რომელიც ცნობილია როგორც არაერთი ინოვაციური სწავლების დამნერგავი, ამავდროულად, იგი მსოფლიოს

ერთ-ერთი ძლიერი კვლევითი ინსტიტუციაა. შესაბამისად, ჩვენი თანამშრომლობა მოიაზრებს როგორც საგანმანათლებლო, ისე კვლევითი მიმართულებით მუშაობას. დაწესებულების სახელი უკავშირდება პროფ. კენ ვოლკერს - ემორის უნივერსიტეტის მედიცინის, ნევროლოგიისა და გლობალური ჯანდაცვის სკოლის პროფესორს, საქართველოს საპატიო მოქალაქეს, საქართველოს უდიდეს მეგობარს. კენ ვოლკერის სახელს უკავშირდება უამრავი პროექტი 8 დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში.

კენ ვოლკერის უნივერსიტეტისა და ემორის უნივერსიტეტს შორის აღნიშნული თანამშრომლობის მთავარი მიზანია საქართველოში პრედიპლომური სამედიცინო განათლების ხელშეწყობა - გაძლიერება და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განვითარება. პროგრამის იდეა მდგომარეობდა ახალი, ინოვაციური კურიკულუმის შემუშავებაში, რომელიც იქნებოდა ინტეგრირებული და მაქსიმალურად გაითვალისწინებდა სამედიცინო კურიკულუმის აგების თანამედროვე მოთხოვნებს. პროგრამას საფუძვლად დაედო ემორის სამედიცინო სკოლის მოდერნიზებული სასწავლო გეგმა, რომელიც მოდიფიცირდა ევროპული და ლოკალური მოთხოვნების გათვალისწინებით.

უნივერსიტეტის დაფუძნების იდეა ასევე უკავშირდება შპს კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის გუნდს, რომელიც სამედიცინო განათლების სფეროში დიდი გამოცდილებით და ცოდნით გამოირჩევა. უნივერსიტეტის პარტნიორია ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაცია ,,პარტნიორები საერთაშორისო განვითარებისთვის", რომელსაც საქართველოში უამრავი პროექტი აქვს განხორციელებული სამედიცინო განათლების სფეროში. ორგანიზაცია წლებია, ეხმარება ქართულ მხარეს ჯანდაცვის სფეროში პრაქტიკული ხასიათის ტრენინგების განხორციელებაში ჯანდაცვის სხვადასხვა რგოლის თანამშრომელთა, ასევე, პროფესორ-მასწავლებლების გადამზადებაში, მნიშვნელოვანია მისი როლი სამედიცინო კლინიკებსა და საგანმანათლებლო დაწესებულების სამედიცინო ინვენტარით მომარაგების კუთხითაც.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

მოწვეული საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ აღნიშნა სასწავლო კურსი ,,პაციენტი, ექიმი და საზოგადოება", რომელიც პირველი სემესტრიდან იწყება და ბოლომდე გასდევს მთელ პროგრამას. აღსანიშნავია ასევე, რომ კურიკულუმის მიხედვით, აღნიშნული სასწავლო კურსი გადის ყველა სწავლის შედეგზე. შესაბამისად, საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რამდენად რეალისტურია აღნიშნული მოცემულობა და როგორ არის განსაზღვრული სწავლის შედეგებზე გასვლა და მათი გაზომვა.

საბჭოს წევრმა, თამარ ვალიშვილმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს განემარტათ თუ რით განსხვავდება მოცემული პროგრამა საქართველოში არსებული სხვა სამედიცინო პროგრამებისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამის შემუშავებისას მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული პოსტულატი, რომ სტუდენტების მუშაობა პროფესიონალიზმის მიმართულებით უნდა ხდებოდეს. ამასთან დაკავშირებით დაწესებულება რამდენიმე მიმართულებით მუშაობს. ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომელსაც დაწესებულება პირველი სემესტრიდან ბოლო სემესტრამდე ხაზს უსვამს, არის სწორედ პროფესიონალიზმი. უპირველეს ყოვლისა აღნიშნული მოიაზრებს პროფესიონალურ ქცევას. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს Check list- ები, რომელსაც აცნობს სტუდენტებს, პროფესიონალიზმის გარკვეული ნაწილის ფასდება ასევე გამოცდების დროს, როგორიცაა OSPE, OSCE. საბოლოოდ კი კუმულაციურად პროფესიონალიზმის შეფასება ხდება პორტფოლიოში, რომელიც სრულად შემუშავებულია დაწესებულების მიერ. პორტფოლიოს შემთხვევაში პროფესიონალიზმი ფასდება როგორც საგნის პედაგოგის, კურსის კოორდინატორის, ასევე თავად სტუდენტის მხრიდან.

რაც შეეხება თავად პროგრამას, მოცემული პროგრამა საკმაოდ ინოვაციურია. მთავარი განსხვავება სწორედ სისტემებშია. პროგრამა მაქსიმალურად არის ადაპტირებული საქართველოში არსებულ საგანმანათლებლო სივრცესთან. მაქსიმალურად არის გათვალისწინებული ადგილობრივი კონტექსტი, ისე როგორც ამას მოითხოვს მახასიათებელი. ის ცვლილებებიც კი, რომლებზეც მუშაობა ამჟამად მიმდინარეობს დარგობრივი მახასიათებლის ფარგლებში, ამ პროგრამას ფაქტობრივად უკვე გათვალისწინებული აქვს. აქვე აღსანიშნავია, რომ პროგრამას ასევე განსაკუთრებულს ხდის ემორის უნივერსიტეტთან თანამშრომლობა, რაც დამატებით შესაძლებლობებს აძლევს სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს.

მნიშვნელოვანია ასევე, რომ უნივერსიტეტი აქტიურად უწყობს ხელს საერთაშორისო პარტნიორებთან კომუნიკაციასა და თანამშრომლობას, მათ შორის კი პრიორიტეტული მიმართულება სტუდენტების გაცვლით პროგრამებში ჩართვაა, რაც, თავის მხრივ, სტუდენტების მომავალი კარიერული განვითარების და, შესაბამისად, დასაქმების მაღალ მაჩვენებელს უზრუნველყოფს. სტუდენტების საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობა ასევე უზრუნველყოფილია კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტსა და ემორის უნივერსიტეტს (აშშ) შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ-ჯერობით სტუდენტები პროგრამას არ ჰყავს, კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტმა გააფორმა თანამშრომლობის საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციასთან, რომელიც არის ევროპის სტუდენტური გაერთიანების სრულუფლებიანი წევრი, რომელიც თავის მხრივ, მჭიდროდ თანამშრომლობს ევროკავშირთან, იუნესკოსთან, ევროპის საბჭოსთან, ბოლონიის პროცესის განმახორციელებელ ჯგუფთან. ასოციაციასა და უნივერსიტეტს შორის გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის მიზანია, ასოციაციის საქმიანობაში უნივერსიტეტის სტუდენტთა ჩართულობის ხელშეწყობა; უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებით 44 სტუდენტებში ცნობიერების ამაღლება, საერთაშორისო სტუდენტურ გაერთიანებებთან მჭიდრო თანამშრომლობა საგანმანათლებლო და სტუდენტურ ცხოვრებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. გარდა ამისა დაწესებულებას მემორანდუმები აქვს გაფორმებული არა ერთ კლინიკასთან სადა სტუდენტებს ექნებათ შესაძლებლობა სრულყოფილად გაიარონ პრაქტიკები.

რაც შეეხება სასწავლო კურსს ,,პაციენტი, ექიმი და საზოგადოება“, კურსის ,,ექიმი, პაციენტი და საზოგადოება“ ფარგლებში სტუდენტები ჩართული არიან მცირე დისკუსიებში პროფესიონალიზმის, ეთიკის, კომუნიკაციის, კულტურული თავისებურებების, საექიმო უნარ-ჩვევების შესახებ, რასაც ემატება პაციენტთან ინდივიდუალური მიდგომის საკითხებზე მსჯელობა. „ექიმი, პაციენტი და საზოგადოების“ კურსი აჯამებს ყველა მნიშვნელოვან კლინიკურ უნარ-ჩვევას, რომელიც აუცილებელია კლინიკური ეტაპის დაწყებისთვის. მთელი სწავლების მანძილზე სტუდენტი ეცნობა ექიმობის - არჩეული სპეციალობის არსს, ექიმის როლს ჯანმრთელობის დაცვისა და უზრუნველყოფის თანამედროვე სისტემაში, საზოგადოების განვითარებაში, ადამიანთა ჯანმრთელობისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში და სხვა. აღნიშნული მიზნის მიღწევას სწავლის პირველივე დღიდან სხვა სასწავლო კურსებთან ერთად პროგრამაში კურსი ,,პაციენტი, ექიმი და საზოგადოება“ ემსახურება; ასევე სწავლების პირველი კვირა საორიენტაციო შეხვედრებს დაეთმობა, რომელთა ფარგლებში პროგრამის ადმინისტრაცია აკად. პერსონალთან ერთად და ამერიკელ კოლეგებთან ერთად (მომავალში კი - მაღალ კურსებზე მყოფ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ერთადაც) პირველსემესტრელებს ზემოაღნიშნულ საკითხებზე ესაუბრება.

სასწავლო კურსის ,,პაციენტი, ექიმი და საზოგადოება“ ძირითადი მიზნები სწავლების კლინიკურ ეტაპზე (ძირითადი კლერკშიფების დროს) საკმაოდ მრავალფეროვანია: პაციენტთან კომუნიკაციის გაღრმავებული ასპექტებსა და სისტემების ფოკუსირებულ გასინჯვასთან ერთად მეტი აქცენტი კეთდება ეთიკურ, ფსიქოლოგიურ, სოციალურ და ა.შ. დეტერმინანტებზე, ასევე მნიშვნელოვანი ნაწილი უკავია პროფესიონალიზმის საკითხებს და კარიერული დაგეგმვისა და

განვითარებისთვის მზადებას. პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება სხვადასხვა დონეზე ხდება როგორც პრეკლინიკურ, ისე კლინიკურ ეტაპზე. პროგრამის პრეკლინიკურ ფაზაში კლინიკური უნარ-ჩვევების გამომუშავებას ძირითადად კურსი ,,პაციენტი, ექიმი და საზოგადოება“ უზრუნველყოფს. გარდა ამისა, სასწავლო კურსის ,,პაციენტი, ექიმი და საზოგადოება” სხვადასხვა სემესტრში ხდება ბიოეთიკის, მტკიცებითი მედიცინისა და 34 სხვ. სწავლება და სამეცნიერო ბაზისური უნარების გამოყენება. კურსის კოორდინატორებისა და კურსის ,,ექიმი, პაციენტი და საზოგადოება“ ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას სტუდენტთა კარიერულ წინსვლაზე ზრუნვა წარმოადგენს. აღნიშნულ საკითხში მნიშვნელოვანი როლს პარტნიორები შეასრულებენ, რომლებიც დაეხმარებიან სტუდენტებს ძირითადად პოსტდიპლომური განათლებისთვის მზადებაში - როგორ დაიწეროს პროფესიონალური CV, ე.წ. Personal Statement (საკუთარი თავის წარდგენა პროფესიაში), სამოტივაციო წერილი, ინტერვიუირების უნარ-ჩვევების გამომუშავება, პროფესიონალიზმზე ზრუნვა - ეს ის ძირითადი საკითხებია, რომელთა განვითარებაც კურსის კოორდინატორების ფუნქციებში შედის, განსაკუთრებით, სწავლების ბოლო ორი წლის მანძილზე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:10

დასრულების დრო: 16:45

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული საერთო შეფასება. საბჭომ ცალკეულ კომპონენტებში ამოიღო ან/და შეუცვალა ფორმულირება რჩევებს, თუმცა, ამით შეფასება არ შეცვლილა.

დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რჩევები:

1. სასურველია პროგრამის დაშვების წინაპირობაში დაზუსტდეს საერთაშორისო სტუდენტებისთვის დადგენილი ინგლისური ენის შესაბამისი დონე.
2. სასურველია მეტი არჩევითი კურსის შეტანა.
3. სასურველია ბიუჯეტში ეტაპობრივად გაიზარდოს სტუდენტების კვლევითი საქმიანობის დაფინანსება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს - კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მედიცინის" ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამისთვის 4 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 29

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული

კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის „მედიცინის“ ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია.

16:50 საათზე - საბჭოს სხდომა დატოვა ნინო ინასარიძემ.

აღნიშნული საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დატოვეს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დამსწრე მოწვეულმა წევრებმა

2.მეორე საკითხი : შპს - კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სტომატოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული სტომატოლოგი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	დენტალური მედიცინა 0911
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	300
14	განხორციელების ადგილი	გუდამაყრის ქ. #4ვ, თბილისი, საქართველო, 0141; ჯანსუღ კახიძის N2, N3; თბილისი, საქართველო. 0102
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოსწევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა- გაიანე სიმონიამ
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის "აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს-კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტომატოლოგია ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შესახებ 2021 წლის 27 სექტემბრის ბრძანების შესაბამისად, 2021 წლის 27 ოქტომბერს ჰიბრიდულ ფორმატში, როგორც ადგილზე ვიზიტის განხორციელებით ისე დისტანციურად. შეფასების პროცესი მიმდინარეობდა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის თანახმად. ყველა დაგეგმილი აქტივობა შესრულდა. დაწესებულებამ შეფასების პროცესში წარმოადგინა დამატებით მოთხოვნილი ექსპერტთა ჯგუფისათვის საინტერესო და მნიშვნელოვანი მასალები. ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარდგენილ იქნა უნივერსიტეტის წარმომადგენლების წინაშე საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ვიზიტის პროცესში ექსპერტთა მიერ ჩამოყალიბებული ძირითადი მიგნებები. შეფასების პროცესი მიმდინარეობდა საქმიანი დისკუსიის, აკადემიურ და თანამშრომლობით ფორმატში, დარგობრივი მსჯელობა იყო მრავალმხრივი და არგუმენტირებული. სააკრედიტაციო ვიზიტმა ჩაიარა კეთილგანწყობილ და კოლეგიალური მხარდაჭერის ფარგლებში.
2021 წლის 27 სექტემბრის ბრძანების საფუძველზე შექმნილი აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარდგენილი დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ ჯგუფი დამატებით გაეცნო არგუმენტირებულ წერილში მითითებულ ცალკეულ დამატებით მასალას, განიხილა უსდ-ს მიერ ჩამოყალიბებული არგუმენტები და მიიჩნევს, რომ რეკომენდაცია: რეკომენდებულია უნივერსიტეტმა განაგრძოს აქტიური მუშაობა ინტერნაციონალიზაციის კუთხით, რათა სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტები და პერსონალი უზრუნველყოს გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობებით მათი პროფილის შესაბამისად (კომპონენტი 2.6). - შესაძლებელია გაზიარებულ იქნას უსდ-ს პოზიცია და წინამდებარე დასკვნა გადავიდეს რჩევის რუბრიკაში. ამ ეტაპზე იმდენად აქტიური და ინტენსიურია უსდ-ს თანამშრომლობა პარტნიორ უცხოურ უნივერსიტეტთან, რომ სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტებსა და განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალს ექნება საშუალება ქმედითად ჩაერთონ გაცვლით პროექტებში. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება კიდე უფრო გაამყარო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულმა ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის დოკუმენტმა (რომლის წარდგენა სააკრედიტაციო პორტფოლიოში სურვილისდამიხედვით ხდება.) და ასევე უნივერსიტეტის

სტრატეგიული განვითარების გეგმის გაცნობამ, რომელში დეტალურადაა გაწერილი უნივერსიტეტისათვის ეს არსებითად მნიშვნელოვანი განვითარების ხაზი.
რეკომენდაცია: რეკომენდებულია ბიბლიოთეკის ბეჭდური ლიტერატურის გამდიდრება სილაბუსებში ასახული სახელმძღვანელოებით. ასევე კომპიუტერული ინვენტარის გაზრდა სტუდენტური კონტინგენტის შევსების პარალელურად (კომპონენტი 4.3). - ექსპერტთა ხელთ არსებული ყველა მასალის (მათ შორის ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის), საპასუხო წერილში წარმოდგენილი შესაბამისი ჩანაწერებისა და დამატებითი არგუმენტების საფუძველზე, წინამდებარე რეკომენდაცია უფრო განვითარებაზე ფოკუსირებად წინადადებად უნდა იქნას აღქმული არსებული ვითარებიდან (ჯერ კიდევ სრული დატვირთვით არ არის უნივერსიტეტის აქტივობები ამოქმედებული) გამომდინარე. შესაბამისად, ეთანხმება უსდ-ს არგუმენტებს და დასაშვებად თვლის მის გადატანას რჩევების რუბრიკაში. წინამდებარე ცვლილების შეტანა დამატებით გამყარებულია ასევე უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის ჩანაწერით, კერძოდ, ციფრული სისტემების განვითარება და დიგიტალიზაცია უსდ-ს ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა (რაც ავტორიზაციის ჩანდა (დასკვნის თანახმად) და ამ ეტაპზეც ცხადად იკვეთება ადგილზე მატერიალური რესურსების გაცნობით).
შპს - კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რჩევები:
1. სასწავლო კურსებს დაემატოს დერმატოლოგიისა და ვენეროლოგიის სასწავლო კურსი;
2. ზოგიერთ სასწავლო კურსში სალექციო საათები წარმოდგენილი არის მცირე რაოდენობით. სასურველია მათი გაზრდა კრედიტებთან შესაბამისობაში;
3. ზოგიერთ სილაბუსში სასურველია აღმოიფხვრას ტექნიკური ხარვეზი მითითებული ლიტერატურის ნაწილში.
4.რეკომენდებულია უნივერსიტეტმა განაგრძოს აქტიური მუშაობა ინტერნაციონალიზაციის კუთხით, რათა სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტები და პერსონალი უზრუნველყოს გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობებით მათი პროფილის შესაბამისად.
5.სასურველია პროგრამის ამუშავებისთვის ყველა სასწავლო კურსის წამყვან პედაგოგს დარგობრივი კომპეტენციები დადასტურებული ჰქონდეს შესაბამისი ლიცენზიით.
6.რეკომენდებულია ბიბლიოთეკის ბეჭდური ლიტერატურის გამდიდრება სილაბუსებში ასახული სახელმძღვანელოებით. ასევე კომპიუტერული ინვენტარის გაზრდა სტუდენტური კონტინგენტის შევსების პარალელურად.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოციცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება

უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამა შესაბამისობაშია აკრედიტაციის თითოეულ სტანდარტთან.
სტომატოლოგიის პროგრამა აგებულია ეროვნული უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და საერთაშორისო დარგობრივი სტანდარტების შესაბამისად და ითვალისწინებს აკადემიურ პროცესში მონაწილე სტუდენტებისა და აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ასევე სტომატოლოგიის პროგრამების კურსდამთავრებულებისა და პოტენციური დამსაქმებლების ერთობლივ ინტერესებს. საერთაშორისო პარტნიორთან - აშშ-ის ერთ-ერთ წამყვან სამედიცინო სკოლასთან - ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლასთან (ატლანტა)მჭიდრო თანამშრომლობა ერთგვარი გარანტია პროგრამის კომპეტენციებზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის და შეფასების მეთოდოლოგიის მუდმივი განვითარების, შეძენილი ცოდნის კლინიკურ გარემოში გამოყენებისა და სწავლის შედეგების შესაბამისი თანამედროვე კლინიკური მიდგომების და პრაქტიკული უნარ-ჩვევების დახვეწისა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:05
დასრულების დრო: 17:17

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული საერთო შეფასება. საბჭომ ცალკეულ კომპონენტებში ამოიღო ან/და შეუცვალა ფორმულირება რჩევებს, თუმცა, ამით შეფასება არ შეცვლილა.
დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რჩევები:
1. სასურველია პროგრამაში მეტი ყურადღება დაეთმოს დერმატოლოგიისა და ვენეროლოგიის ამსახველ საკითხებს;
2. ზოგიერთ სასწავლო კურსში სალექციო საათები წარმოდგენილი არის მცირე რაოდენობით, სასურველია, მათი გაზრდა კრედიტებთან შესაბამისობაში;
3. სასურველია, უნივერსიტეტმა განაგრძოს აქტიური მუშაობა ინტერნაციონალიზაციის კუთხით, რათა სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტები და პერსონალი უზრუნველყოს გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობებით მათი პროფილის შესაბამისად.
4. სასურველია პროგრამის ამუშავებისთვის ყველა სასწავლო კურსის წამყვან პედაგოგს დარგობრივი კომპეტენციები დადასტურებული ჰქონდეს შესაბამისი ლიცენზიით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს - კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამისთვის 4 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლი

ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“ ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია.

3.მესამე საკითხი : შპს - საქართველოს უნივერსიტეტის "საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული, გადაწყვეტილება N819, 13.12.2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	პოლიტიკის მეცნიერება და მოქალაქეობრიობის საფუძვლები 0312
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	კოსტავას 77, თბილისი, 0171, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოსწევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტებისპოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „საერთაშორისო ურთიერთობები“ (შემდგომში - პროგრამა) სააკრედიტაციო შეფასება განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, მიმდინარე წლის 22 ოქტომბერს დისტანციურ რეჟიმში Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით.

აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება განხორციელდა წინასწარ შეთანხმებული ვიზიტის განრიგის (დღის წესრიგის) მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფის სრული შემადგენლობით. ზუმ-ვიზიტი დაიწყო 10:00 საათზე (22.10.2021) საქართველოს უნივერსიტეტში. ვიზიტის მსვლელობისას უნივერსიტეტმა უზრუნველყო ყველა პირობა რათა ექსპერტთა ჯგუფს მიეღო სრული ინფორმაცია აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად. ვიზიტის პირველი შეხვედრა შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, რომელიც წარმოდგენილი იყო უსდ-ს პრორექტორით, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანითა და მენეჯერით, დასაქმების ცენტრისა და სტუდენტურ საქმეთა ცენტრის წარმომადგენლებით, სასწავლო პროცესების მენეჯერით. საუბარი შეეხო საერთაშორისო ურთიერთობათა საბაკალავრო პროგრამის მნიშვნელობას როგორც უნივერსიტეტისათვის, ისე ქართული საგანმანათლებლო სივრცისთვის. სკოლის დეკანმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილმა პროგრამამ ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო ფუნქციონირება ქართულ საგანმანათლებლო სფეროში. პირველი აკრედიტაციის შემდგომ, პროგრამა მუდმივად ვითარდება ახალი პოლიტიკური თუ საერთაშორისო გამოწვევების შესაბამისად. აკრედიტაციის ჯგუფის ერთ-ერთი კითხვა შეეხებოდა სტუდენტების რაოდენობის კლებას, რაც ადმინისტრაციამ ახსნა ანალოგიური პროგრამების გამოჩენით საგანმანათლებლო ბაზარზე. შესაბამისად, პრორექტორმა ხაზი გაუსვა, რომ უსდ-სთვის საერთაშორისო ურთიერთობის პროგრამა მნიშვნელოვანია, ამიტომ საჭიროების შემთხვევაში უსდ მზადაა უზრუნველყოს პროგრამის ფინანსური სტაბილურობა.

უსდ-დან აკრედიტაციის ჯგუფის აკრედიტაციის დასკვნის პროექტთან მიმართებაში გამოგზავნილ არგუმენტირებული პასუხს აკრედიტაციის ჯგუფის წევრები გაეცნენ, იმსჯელეს და შედეგად გადაწყვიტეს, რომ რეკომენდაცია, საბაკალავრო ნაშრომისათვის შემცირდეს მინიჭებული კრედიტი, გადავიდეს რჩევაში, ხოლო რეკომენდაციები აკადემიური წერის სტანდარტთან და „ინგლისური საერთაშორისო ურთიერთობებში“ კურსის სახელმძღვანელოსთან მიმართებით გაუქმებული იქნას. დანარჩენი რეკომენდაციების შესახებ არგუმენტები აკრედიტაციის ჯგუფმა არ გაიზიარა და დატოვა ძალაში.

შპს - საქართველოს უნივერსიტეტის "საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია პროგრამის იმგვარად მოდიფიცირება, (ტრანსფერული უნარების კონკრეტულად გაწერა, კვლევითი და გუნდურად მუშობის უნარის გამომუშავება), რომ პროგრამის კურსდამთავრებულს ჰქონდეს დარგობრივი და ტრანსფერული ცოდნა, უნარი და კომპეტენციები, რომლებიც სრულად შეესაბამება შრომის ბაზრის/დამსაქმებლის მოთხოვნებს. აღნიშნული, ასევე, უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების მიღწევას.
2. რეკომენდებულია სასწავლო კურსის „ინგლისური ენა საერთაშორისო ურთიერთობებისთვის“ პროგრამის არჩევითი ნაწილიდან სავალდებულო ნაწილში გადატანა.
3. რეკომენდებულია სასწავლო კურსის „კვლევის დიზაინი“ VII სემესტრში გადატანა.
4. რეკომენდებულია შეიცვალოს სასწავლო კურსების შედეგების ფორმულირება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისად.
5. რეკომენდებულია სასწავლო კურსი „თვისებრივი კვლევის მეთოდები“ შეიცვალოს სასწავლო კურსით „კვლევის მეთოდები პოლიტიკის მეცნიერებაში/საერთაშორისო ურთიერთობებში“ (თვისებრივი და რაოდენობრივი).
6. რეკომენდებულია განხორციელდეს შინაარსობრივი ცვლილებები სასწავლო კურსებში: „კვლევის დიზაინი“ (აკადემიური წერის კომპონენტებით) და „ეკონომიკისა და ბიზნესის საფუძვლები“.
7. რეკომენდებულია სასწავლო კურსების „მსოფლიო პოლიტიკა“; „მსოფლიო პოლიტიკა II - ცივი ომი“; „შესავალი საქართველოს პოლიტიკაში“; „საქართველო და მსოფლიო“ სათაური და შინაარსი მოვიდეს შესაბამისობაში.
8. რეკომენდებულია „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სილაბუსში მკაფიოდ გაიწეროს შეფასების კრიტერიუმები, რათა შეფასება იყოს გამჭვირვალე და ობიექტური.
9. უნივერსიტეტში მოქმედი წესებით დადგენილი პერიოდულობით ჩატარებული პროგრამის შეფასების შედეგები უნდა იყოს გაანალიზებული და ფორმალიზებული ანალიზის დოკუმენტის/ანგარიშის/სხვ. სახით, მისი მეშვეობით უნდა იყოს შესაძლებელი შეფასების შედეგების სისტემატური დადარება, მიღწეული პროგრესიის დადგენა და სხვ.,
10. გამოკითხვის შედეგების ვალიდურობისა და გამოყენების შესაძლებლობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელია გადაიხედოს გამოკითხვის/კვლევის ფორმები დასმული შეკითხვების და შესაძლო პასუხების ნაწილში (მათ შორის რესპოდენტთა კატეგორიასთან რელევანტურობის თვალსაზრისით), ასევე კვლევის შედეგების ანალიზი/დასკვნები უნდა იყოს რეალისტური და კვლევით მიღებული შედეგების შესაბამისი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამა შინაარსობრივად და უნარების გამომუშავების თვალსაზრისით სრულიად არის მორგებული დარგის წინაშე არსებულის შრომის ბაზრის მოთხოვნებზე. აღნიშნული განსაკუთრებით ითვალისწინებს საერთაშორისო ურთიერთობების კომპლექსური ბუნების, ურთიერთდამოკიდებულების ფაქტორების

დადგენის უნარს, საგარეო პოლიტიკის წარმოების, პროცედურების და მექანიზმების გამოყენების უნარს, კვლევითი და ანალიტიკური ნაშრომების განხორციელების პრაქტიკული უნარების განვითარებას, ისევე როგორც კონფლიქტების, ომის და სხვა გლობალური პროცესების კონკრეტული განმსაზღვრელი ფაქტორების დადგენისა და შეფასების უნარს. დაწესებულება თვისობრივად არ ეთანხმება რეკომენდაციას, რადგან პროგრამა უვითარებს სტუდენტს დარგობრივ და ტრანსფერულ უნარებს. დარგობრივი კომპეტენციები ჩამოყალიბებულია იმ აქტუალური საკითხების შესაბამისად, რაც უნდა იცოდეს დღეს მოღვაწე საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტმა. რაც შეეხება ტრანსფერულ უნარებს, ასეთი უნარები პროგრამაში გაწერილია, რომელსაც უვითარებს არადარგობრივი, მაგრამ პროგრამის ძირითადი კურსები, როგორებიცაა: ეკონომიკა და ბიზნეს საფუძვლები, ანალიტიკური და რაოდენობრივი აზროვნება, კვლევის დიზაინი, საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგი და პოლიტიკა, მსოფლიო ისტორია, სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლების და ა.შ.

რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, პროგრამა აგებულია იმგვარად, რომ შეთავაზებულია სავალდებულოდ ზოგადი ინგლისურის ყველა საჭირო საფეხური. ინგლისურის მოცმული კომპეტენცია სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ სტუდენტებმა შეძლონ პროგრამაში არსებული მასალის წაკითხვა, გაგება და გაანალიზება. საბაკალავრო საფეხურისთვის ეს არის ის აუცილებელი ფაქტორი, რომელიც პროგრამამ უნდა განუვითაროს სტუდენტს. რაც შეეხება არჩევით საგანს ინგლისური ენა საერთაშორისო ურთიერთობებისთვის, აღნიშნული საგანი ატარებს უფრო დამხმარე ფუნქციას იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც სურთ, რომ დამატებით დახვეწონ ტერმინოლოგიური სპექტრი.

მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ კურსი ,,კვლევითი დიზაინი" წარმოადგენს ერთ-ერთ ფუნდამენტურ კურსს, როგორც კვლევისა და ანალიზის სამეცნიერო ღირებულების გაგების, ასევე მათი პრაქტიკული მექანიზმების სწორად და ეფექტურად სწავლების მიზნით, ეს არ არის მხოლოდ საბაკალავროსთვის გამიზნული კურსი, არამედ ასევე გამოყენება ანალიტიკური ესეებისა და სემესტრული ნაშრომების, ისევე როგორც შეზღუდული ფორმით კვლევების მოსამზადებლად. აღნიშნულიდან გამომდინარე, მისი გადატანა საბაკალავრო პროგრამის ფინალურ ეტაპზე დაწესებულებას არ მიაჩნია გამართლებულად

მნიშვნელოვანია ასევე დაწესებულების პოზიცია მე-4 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, კერძოდ, ყველა სამართლებრივი ნორმისა და სტანდარტის შესაბამისად არის გაწერილი პროგრამის სწავლის შედეგები, თუ რომელიმე სტანდარტი ან ნორმა ირღვევა, მაშინ თან უნდა ახლდეს შესაბამისო ნორმატიული საფუძველი თავისი განმარტებით. თუ ექსპერტები ეყრდნობიან ხარისხის სამსახურის მიერ შემუშავებულ სარეკომენდაციო სახელმძღვანელოს, რა თქმა უნდა შესაძლებელია მხედველობაში იყოს მიღებული, მაგრამ ეს არაა ნორმატიული აქტი, რომ მას სავალდებულო ხასიათი ჰქონდეს. დაწესებულებას მიაჩნია, რომ შედეგების ფორმულირება არ წარმოადგენს სირთულეს და შესაძლებელია კონკრეტული სიტყვები ზემოთ ხსენებული რეკომენდაციის შესაბამისად იყოს განსაზღვრული.

რაც შეეხება მე-5 რეკომენდაციას, კურსის ძირითადი შინაარსობრივი დატვირთვა მოდის თვისობრივი კვლევის მეთოდების ახსნაზე და მათთან ბმაში იმ განსხვავებების ახსნაზე, რაც გამოყოფს თვისებრივი კვლევის მეთოდებს რაოდენობრივისგან. გარდა ამისა, ცალკე სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გაიარონ ანალიტიკური და რაოდენობრივი აზროვნების ძირითადი კურსი, ხოლო ერთიანობაში დამატებით კურსი კვლევის დიზაინი გარკვეულ ნაწილში ამახვილებს ყურადღებას კვლევის ორივე მეთოდის ღირებულებაზე. შესაბამისად, დაწესებულება მოცემულ რეკომენდაციას არ ეთანხმება.

დაწესებულება ასევე არ იზიარებს რეკომენდაციას კვლევის დიზაინისა და ეკონომიკისა და ბიზნესის საფუძვლების სასწავლო კურსების შინაარსობრივ ცვლილებებთან დაკავშირებით, კერძოდ კვლევის დიზაინის კურსის შინაარსი სპეციფიკურად მორგებულია სწორედ დარგისთვის ტრანსფერული უნარების გამომუშავებაზე კვლევითი და ანალიტიკური პროდუქტის წარმოების თვალსაზრისით, ხოლო კურსი აკადემიური წერა ცალკე არის

შეთავაზებული როგორც ძირითადი საგანი. რაც შეეხება ეკონომიკისა და ბიზნესის საფუძვლებს, აღნიშნული კურსი ემსახურება საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს სპეციალისტებისთვის ეკონომიკის საფუძვლების გაცნობას და ამ მხრივ ვერ გაცდება ამ მიზნის ფარგლებს.
რაც შეეხება მე-7 რეკომენდაციას, აღნიშნული კურსების შინაარსი გარდა იმისა, რომ განსხვავებულ ისტორიულ პერიოდებს მოიცავს, სრულიად განსხვავებულ შინაარსობრივ დატვირთვას ატარებს და შესაბამისად, საერთაშორისო პოლიტიკის ფორმირებისთვის და საერთაშორისო ურთიერთობების თეორიულ-კონცეპტუალური ასპექტები ჩვენებას ემსახურება. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია დაწესებულებას არ მიაჩნია მისაღებად.
მე-8 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ყველა სილაბუსში, როგორც შუალედური ასევე ფინალური შეფასების დროს სრულიად დეტალურად არის გაწერილი შეფასების კრიტერიუმები. ამავე დროს დაწესებულება ითვალისწინებს გარკვეული საგნების შინაარსობრივ და მიზნობრივ თავისებურებებს, კურსის ავტორებს ეძლევათ საშუალება მოახდინონ შეფასების რომელიმე კომპონენტის მოდიფიცირება და მაგალითად სტანდარტული შუალედური გამოცდით გათვალისწინებული კრიტერიუმების მაგივრად განახორციელოს ანალიტიკური ესეს სახით განხორციელებული შუალედური გამოცდის შეფასება, ასევე მკაფიოდ დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით. შესაბამისად, დაწესებულება არ იზიარებს მოცემულ რეკომენდაციას.
რაც შეეხება მე-9 რეკომენდაციას, უნივერსიტეტში მოქმედებს პროგრამის შეფასების მექანიზმი, რომელიც გაწერილია პროგრამის დებულებაში. მოცემული დოკუმენტი სხვა დოკუმენტებთან ერთად წარმოდგენილი იყო სააკრედიტაციო განაცხადის გაკეთების პერიოდში, რაც იმას ნიშნავს, რომ ექსპერტებისთვის ეს დოკუმენტი ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო. პროგრამის დებულებაში გაწერილია მექანიზმები და ინსტრუმენტები, თუ რის საშუალებითაც ხდება შეფასება. შესაბამისად, გაუგებარია ექსპერტების ტექსტი, როცა თვითშეფასების ანგარიშში მიუთითებენ, რომ ზემოთ ხსენებული დოკუმენტი მიწოდებული არ იყო. დაწესებულება მიიჩნევს, რომ სწორედ ამ გაუგებრობამ გამოიწვიაო მოცემული რეკომენდაციის განსაზღვრა.
მე-10 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება განსაზღვრას ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმებს, შიდა მექანიზმები განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რესურსების, გამოცდილებისა და სხვა უამრავი კომპონენტის შესაბამისად. ამ თვალსაზრისით, უნივერსიტეტს აქვს პროგრამების შეფასების კონკრეტული მექანიზმები, რომლებიც ეფუძნება უნივერსიტეტში არსებულ გამოცდილებას და არის შემუშავებული პროფესიონალების მიერ.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ შრომის ბაზრის კვლევის ფარგლებში გამოიკითხა სამი ექსპერტი, შესაბამისად დააზუსტა რამდენად არის აღნიშნული საკმარისის იმისათვის, რომ დაწესებულებას ჰქონდეს სრულფასოვანი წარმოდგენა შრომის ბაზართან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია ასევე, რომ საკმაოდ კარგად არის გაწერილი ბიუჯეტის ასპექტები, თუმცა თუ სტუდენტთა რაოდენობა 22-ზე ნაკლებია, პროგრამას აქვს რესურსის სიმცირე. აქედან გამომდინარე, საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ როგორ იფარება ხარჯები პირველ და მეორე წელს და შესაბამისად, როგორც ხდება ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა. საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ პროგრამაში მოცემულია სასწავლო კურსები როგორიცაა, ,,საერთაშორისო ვაჭრობა“, ,,ფინანსები“ , თუმცა არ არის მოცემული ამ კურსების სილაბუსები. საკითხთა დაკავშირებით, საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ როგორი სილაბუსები აქვს გამოყენებული დაწესებულებას.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, აღნიშნა, რომ სასწავლო გეგმის მიხედვით ყველა სასწავლო კურსი არის 6 კრედიტიანი, შესაბამისად, საბჭოს წევრმა დააზუსტა, თუ რამდენად არის ყველა სასწავლო კურსი 6 კრედიტიანი, თავისი შინაარსით, სირთულითა და მოცულობის გათვალისწინებით. გარდა ამისა, საბჭოს წევრმა აღნიშნა ექსპერტების მიერ განსაზღვრული

მე-3 რჩევა, რომელიც ეხება საერთაშრისო სამართლის სასწავლო კურსის პროგრამაში დამატებას, გამომდინარე აქედან, საბოჭს წევრმა დააზუსტა თუ რატომ გაუჩნდათ ექსპერტებს ეს მოსაზრება და მოუწოდა ჯგუფს საკითხის განმარტებისკენ.
საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ აღნიშნა, რომ საბაკალავრო ნაშრომების დიდი ნაწილი ეხება უფრო პოლიტიკის მეცნიერების საკითხებს, შესაბამისად მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფს საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების დაზუსტებისკენ. რაც შეეხება ინსტიტუციას, ის არ იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებას კვლევისმეთოდებთან დაკავშირებით, თუმცა საკითხი ნამდვილად აჩენს კითხვის ნიშნებს. კვლევით რაოდენობრივი მეთოდი ძირითადად მხოლოდ დიზაინში და ისიც საკმაოდ მცირე დოზით, აღნიშნული თავად დაწესებულები გადასაწყვეტია, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის შედეგებში ნათლად იყოს მითითებული, რომ შედეგებზე გასვლა ხდება თვისობრივი და არა ზოგადი კვლევით.
საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით მოუწოდა ექსპერტებს მეტი სიზუსტისკენ. 2.6 კომპონენტთან მიმართებით დასკვნაში აღნიშნული, რომ ყველა სილაბუსი საჭიროებს შეფასების მეთოდების დახვეწას, შესაბამისად საბჭოს წევრმა, მოუწოდა ექსპერტთა ჯგფს საკითხის დაზუსტებისკენ. რაც შეხება ინსტიტუციას, საბაკალავრო ნაშრომი არ არის წარმოდგენილი სილაბუსის სახით, თუმცა სავარაუდოდ ის განსაზღვრული იქნება დებულების სახით.
საბჭოს წევრმა ნინო იმნაძე, 2.3 კომპონენტთან დაკავშირებით მოცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით მოუწოდა ექსპერტებს დეტალური განმარტებისკენ.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა საერთაშრისო ვაჭრობის სილაბუსებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სილაბუსი არსებობს და ძირითად ლიტერატურად განსაზღვრულია international trade მე-4 გამოცემა.
ცენტრის წარმომადგენელმააღნიშნა, რომ იყო ტექნიკური ხარვეზი სილაბუსების ატვირთვასთან დაკავშირებით, თუმცა საბჭოს აუცილებლად მიეწოდება აღნიშნული სილაბუსები.
მნიშვნელოვანია ასევე შრომის ბაზრის კვლევის საკითხი, კერძოდ პროცესი მიმდინარეობდა მეორადი წყაროების ანალიზის საფუძველზე. პროგრამის განვითარება და განახლება განხორციელდა ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის, დამსაქმებლების და აკადემიური პერსონალის მოთხოვნების შესწავლის შედეგად. კვლევის შედეგების გაანალიზების საფუძველზე გამოიკვეთა პროგრამის კონკრეტული მიზნობრიობა და განისაზღვრა საჭირო კომპეტენციების აუცილებლობა. გარდა შრომის ბაზრის კვლევისა, მოხდა ასევე, პოტენციური დამსაქმებლების თვისებრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით გამოკითხვა და შესაბამისად, პროგრამა სრულად პასუხობს დამსაქმებლებისა და შრომის ბაზრის საჭიროებებსა და გამოწვევებს. შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების კვლევების შედეგად დაზუსტდა კურსდამთავრებულის დასაქმების არეალი. კერძოდ, კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა ექნებათ დასაქმდნენ, როგორც სახელმწიფო საჯარო, ასევე კერძო ბიზნეს და ანალიტიკურ სტრუქტურებში, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციებში, ადგილობრივ არასამთავრობო და კვლევით ორგანიზაციებში უმცროსი სპეციალისტის და დამწყები მკვლევარის/ანალიტიკოსის და საერთაშორისო მიმართულების კუთხით რელევანტურ პოზიციაზე. რაც შეეხება სამ ექსპერტს, მათი გამოკითხვა განხორციელდა გარე შეფასების მექანიზმის ფარგლებში. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ გამოკითხული 3 პირი წარმოადგენდა სამ ორგანიზაციას.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ დააზუსტა, თუ რამდენად იძლევა 3 ორგანიზაციის გამოკითხვა კვლევის ვალიდურობის შესახებ ინფორმაციას.
მნიშვნელოვანია ასევე ფინანსური მდგრადობის საკითხი, კერძოდ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის თანახმად, უნივერსიტეტის ფინანსური მდგომარეობა საკმაოდ მყარია. დაწესებულებას ასვე წარმოდგენილი აქვს თვითგამოსყიდვის წერტილის ბიუჯეტი, სადაც მოცემულია ყველაზე ცუდი შემთხვევა რომელიც შეიძლება პროგრამას ჰქონდეს. რაც

შეეხება 22ზე ნაკლების სტუდენტის მიღების საკითხს, იმ შემთხვევაში თუ სტუდენტთა რაოდენობა გაცილებით მცირე იქნება, უნივერსიტეტს ცენტრალური ბიუჯეტიდან შეუძლია პროგრამის შენარჩუნების მიზნით ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა. გარდა ამისა, სოციალური მეცნიერებების სკოლის საერთო ბიუჯეტიდანაც შესაძლებელია თანხების გამოყოფა საჭიროებიდან გამომდინარე.
რაც შეეხება სასწავლო კურსის კრედიტებს, ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის /საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. თუმცა 6 კრედიტის მიხედვით სასწავლო კურსების განსაზღვრა არის ადმინისტრაციული მიდგომა, რომლის შესაბამისადაც ხდება საათობრივი ნაწილის დაფარვა.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ მაგალითად რომ დავადაროთ ორი განსხვავებული სილაბუსი ერთმანეთს. ეკონომიკისა და ბიზნესის საფუძვლების სილაბუსში განსაზღვრულია არა ერთი სწავლის მეთოდი, გაწერილია მისაღწევი სწავლის შედეგები და ამსთან ყურადღება არის გამახვულებული გუნდური მუშაობის საკითხებზე. მოცემული კურსისთვის სულ განკუთვნილია 24 საკონტაქტო საათი, რაც მსგავსი მოცულობისა და შინაარსის სასწავლო კურსისთვის არ არის საკმარისი. თუმცა პოლიტიკის შესავალში სულ სხვა მეთოდებია შემოთავაზებული, ლექციაზე დასწრებისთვის 22 საათია განკუთვნილი და ასევე განსაზღვრულია რეფერატი. ორივე სასწავლო კურსისთვის შინაარსიდან გამომდინარე 6 კრედიტის გამოყოფა ეჭვს იწვევს.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ძირითადად საათობრივი განაწილება მომდინარეობს სირთულიდან. რაც შეეხება მეთოდებს, აღნიშნული საათების განსაზღვრისას რამდენად უნდა იყოს გათვალისწინებული. სხვადასხვა მეთოდების შეფასება ხორციელდება სხვადასხვა პერიოდულობით.
ექსპერტმა ისაუბრა სამართალტან დაკავშირებულ რჩევაზე და აღნიშნა, რომ საკითხები ჩაშლილია სხვადასხვა სასწავლო კურსებში და ამ გზით ხდება მათი შესწავლა, მაგ. პროგრამის სასწავლო კურსით „ევროკავშირის სამართალი“ შეისწავლება ისეთი საკითხები, როგორიცაა, მაგ.: ევროკავშირის სამართალი და ადამიანის უფლებები, ადამიანის უფლებათა ჩარჩოს განვითარება ევროკავშირში, ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტია. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო vs მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო და სხვ. შესაბამისად, სასურველია პროგრამაში იყოს შეთავაზებული ისეთი საგნის სწავლება, როგორიცაა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი. აღნიშნული არ წარმოადგენს პროგრამის ხარვეზს.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საერთაშორისო სამართლის საკითხები გათვალისწინებულია სხვადასხვა სასწავლო კურსებში, შესაბამისად ამ კუთხით პროგრამას არ აქვს ხარვეზი.
რაც შეეხება კვლევის საკითხს, დაწესებულების მიდგომაა, რომ სტუდენტი დასაწყისშივე გაეცნოს ბაზისურ ცნებებს, როგორიცაა აკადემიური წერა, რაც შინაარსობრივად არ მოიცავს კვლევის დიზაინის შინაარსს მხოლოდ გარკვეულ შეხებაშია. შემდგომი ეტაპი კი არის კვლევის დიზაინი, რაც სტუდენტს აგებინებს კვლევისთვის მნიშვნელოვან პრინციპებს. იქიდან გამომდინარე, რომ დაწესებულება განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებს თვისობრივი მეთოდების კარგ გაგებას და ამასთან ცალკე არსებობს კურსი რაოდენობრივი კვლევის ტექნიკებთან დაკავშირებით, თვისობრივი კვლევის კურსი არის ცალკე გამოყოფილი.
ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა ისაუბრა საკითხთან დაკავშირებით და განმარტა, რომ სასწავლო კურსი „აკადემიური წერა“ ისწავლება პირველ სემესტრში, მისი მიზანია სტუდენტმა აითვისოს აკადემიური წერის საფუძვლები. კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტს უნდა შეეძლოს რეფერატის წერა აკადემიური სტანდარტით (APA სტილი). თუმცა, ლიტერატურა, რომელზეც სტუდენტი მუშაობს, არის მხატვრული. შესაბამისად, „საერთაშორისო ურთიერთობების“ პროგრამის სტუდენტს გაუჭირდება მხოლოდ აღნიშნული კურსით

მიღებული ცოდნით გაუმკლავდეს საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას. სასწავლო კურსის „კვლევის რაოდენობრივი მეთოდების საფუძვლები“ შესწავლა სავალდებულოა პირველივე სემესტრში (საუნივერსიტეტო სასწავლო კურსია). სათაურიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამის სტრუქტურაში კურსი პირველივე სემესტრშია გათვალისწინებული, სასწავლო კურსის სილაბუსი შინაარსობრივად უნდა გულისხმობდეს სტატისტიკის შესავალს. კურსი იწყება მარტივი მათემატიკით (თვლის სისტემები, გრაფიკები და სხვა); მე-9 კვირაში შემოდის სტატიკის საფუძვლები და მე-12 დამამთავრებელ კვირას ისწავლება ალბათობა. თუ სტუდენტი გადაწყვეტს საბაკალავრო ნაშრომისათვის გამოიყენოს რაოდენობრივი კვლევის მეთოდოლოგია, აღნიშნული კურსით მიღებული ცოდნა და უნარი საკმარისი ვერ იქნება.

ექსპერტმა ასევე ისაუბრა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, კერძოდ პროგრამის სწავლის შედეგები მიიღწევა პროგრამის სავალდებულო კომპონენტების ერთობლიობით: სწავლის ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები „ცოდნა და გაცნობიერება“ შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, თუმცა, კითხვას ბადებს სასწავლო კურსების შედეგებში აღწერილი უნარების ნაწილი. სასწავლო კურსების სილაბუსებში (გარდა „კვლევის დიზაინისა“) უნარების ნაწილში აქცენტი კეთდება 14 არა ტრანსფერულ უნარებზე, არამედ დარგობრივ ცოდნა-გაცნობიერებაზე. რიგ სასწავლო კურსებში შეკითხვა გაჩნდა ასევე შედეგების „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“-ს ფორმულირებასთან, სადაც, ასევე, დარგობრივ ცოდნა-გაცნობიერებაზე კეთდება აქცენტი. შედეგების გაზომვადობისთვის, რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსების შედეგების ფორმულირება მათი გაზომვადობისა და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნების ჭრილში. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ პროგრამა ბოლომდე ვერ უზრუნველყოფს კვლევითი უნარის სათანადოდ განვითარებას მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტისათვის პროგრამით შეთავაზებულია ოთხი კურსი წერისა და კვლევის უნარის გამოსამუშავებლად. ამიტომ მნიშვნელოვანია კვლევითი კურსების გადახედვა და მათი შინაარსობრივი შეცვლა, გასაახლებელია აკადემიური წერის სტანდარტიც. ამავდროულად, საბაკალავრო ნაშრომის წარმატებით შესრულება პროგრამას გაიყვანს დაგეგმილ სწავლის შედეგზე.

რაც შეეხება სილაბუსებს და შეფასების მეთოდებს ყველა არ წარმოიდგენ პრობლემას. კრიტერიუმები გაწერილია, თუმცა სილაბუსების უმრავლესობაში საკმაოდ ზოგადად და არაამომწურავად არის წარმოდგენილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა ტრანსფერულ უნარებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამის ფარგლებში მინიმუმ სამი ტრანსფერული უნარის ამოცნობაა შესაძლებელი. აღნიშნული განსაკუთრებით ითვალისწინებს საერთაშორისო ურთიერთობების კომპლექსური ბუნების, ურთიერთდამოკიდებულების ფაქტორების დადგენის უნარს, საგარეო პოლიტიკის წარმოების, პროცედურების და მექანიზმების გამოყენების უნარს, კვლევითი და ანალიტიკური ნაშრომების განხორციელების პრაქტიკული უნარების განვითარებას, ისევე როგორც კონფლიქტების, ომის და სხვა გლობალური პროცესების კონკრეტული განმსაზღვრელი ფაქტორების დადგენისა და შეფასების უნარს. დაწესებულება თვისობრივად არ ეთანხმება რეკომენდაციას, რადგან პროგრამა უვითარებს სტუდენტს დარგობრივ და ტრანსფერულ უნარებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსის საკითხი და განმარტა, რომ დაწესებულებას აქვს დებულება რომლის მიხედვითაც ხელმძღვანელობს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 19:15
დასრულების დრო: 19:50

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული საერთო შეფასება. საბჭომ ცალკეულ კომპონენტებში დაამატა ან/და ამოიღო რეკომენდაციები და რჩევები, ასევე, რამდენიმე რეკომენდაციას შეუცვალა ფორმულირება, რის შედეგადაც 2,2 კომპონენტი ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა ამით მეორე სტანდარტის შეფასება არ შეცვლილა.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1.რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების რეფორმულირება, რომ მკაფიოდ გამოიკვეთოს დარგობრივი და ტრანსფერული ცოდნა/უნარები და კომპეტენციები, რომელსაც შეიძენს კურსდამთავრებული.

2. რეკომენდებულია შეიცვალოს სასწავლო კურსების შედეგების ფორმულირება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისად.

3. რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსები თვისებრივი კვლევის მეთოდები და კვლევის დიზაინი.

4. რეკომენდებულია სასწავლო კურსების „მსოფლიო პოლიტიკა“; „მსოფლიო პოლიტიკა II - ცივი ომი“; „შესავალი საქართველოს პოლიტიკაში“; „საქართველო და მსოფლიო“ სათაური და შინაარსი მოვიდეს შესაბამისობაში.

5. რეკომენდებულია „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სილაბუსში მკაფიოდ გაიწეროს შეფასების კრიტერიუმები, რათა შეფასება იყოს გამჭვირვალე და ობიექტური.

6 უნივერსიტეტში მოქმედი წესებით დადგენილი პერიოდულობით ჩატარებული პროგრამის შეფასების შედეგები უნდა იყოს გაანალიზებული და ფორმალიზებული ანალიზის დოკუმენტის/ანგარიშის/სხვ. სახით, მისი მეშვეობით უნდა იყოს შესაძლებელი შეფასების შედეგების სისტემატური დადარება, მიღწეული პროგრესიის დადგენა და სხვ.

7 გამოკითხვის შედეგების ვალიდურობისა და გამოყენების შესაძლებლობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელია გადაიხედოს გამოკითხვის/კვლევის ფორმები დასმული შეკითხვების და შესაძლო პასუხების ნაწილში (მათ შორის რესპოდენტთა კატეგორიასთან რელევანტურობის თვალსაზრისით), ასევე კვლევის შედეგების ანალიზი/დასკვნები უნდა იყოს რეალისტური და კვლევით მიღებული შედეგების შესაბამისი.

რჩევები:

1. სასურველია გაფართოვდეს შრომის ბაზრის კვლევის არეალი;

2. სასურველია სასწავლო კურსის „ინგლისური ენა საერთაშორისო ურთიერთობებისთვის“ პროგრამის არჩევითი ნაწილიდან სავალდებულო ნაწილში გადატანა;

3. სასურველია სასწავლო კურსის „კვლევის დიზაინი“ VII სემესტრში გადატანა;

4. სასურველია, პროგრამაში გაძლიერდეს „საერთაშორისო სამართლის“ საკითხების სწავლება.

5. სასურველია, საბაკალავრო ნაშრომს მიენიჭოს არა უმეტეს ორი სასწავლო კურსის შესაბამისი კრედიტი (10-12 კრედიტი);

6. სასურველია გადაიხედოს სავალდებულო ლიტერატურა სასწავლო კურსისთვის „ჰიბრიდული ომი“.

7. სასურველია ინტერნაციონალიზაციის ფარგლებში უნივერსიტეტმა მოახდინოს გაცვლითი პროგრამების პოპულარიზაცია, შეიმუშაოს მექანიზმი ამ აქტივობაში სტუდენტთა ჩასართავად.

8. სასურველია გაუმჯობესდეს სტუდენტთა სტაჟირების განხორციელება საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის ფარგლებში.

9. სასურველია არსებობდეს (წარმოდგენილი ყოფილიყო დოკუმენტი) აკადემიური პერსონალის დატვირთვის შესახებ.
10. სასურველია სახელმძღვანელოდ გამოსაყენებელმა მონოგრაფიებმა გაიაროს არამხოლოდ ქართველი, არამედ უცხოელი სფეროს სპეციალისტის რეცენზირება, რაც ხელს შეუწყობს ნაშრომის ვალიდურობის გაზრდას.
11. სასურველია მოხდეს ლექტორების წახალისება, რომ სტუდენტები ჩართონ კვლევით პროექტებში.
12.მიზანშეწონილია პროგრამის შედეგების შეფასების ერთ-ერთ მექანიზმად დაემატოს ჩანაწერი პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისათვის სამიზნე ნიშნულების დადგენისა და მიღწეული შედეგების სამიზნე ნიშნულებთან დადარების შესახებ, მითუმეტეს, რომ ამას დაწესებულება პრაქტიკულად ახორციელებს;
13. მიზანშეწონილია „საგანმანათლებლო პროგრამის დებულებაში“ დაკორექტირდეს გამოყენებული ტერმინი „მოწვეული აკადემიური პერსონალი“;
14. მიზანშეწონილია გადაიხედოს სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ადამიანური რესურსის საკმარისობის საკითხი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს - საქართველოს უნივერსიტეტის "საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წელში ანგარიშის წარდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია 1 წელში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

19:55 საათზე საბჭოს სხდომა დატოვა - ანა ფირცხალაშვილმა და მაკა კაჭარავამ.
20:00 საათზე სხდომას შემოუერთდა - გაიოზ ფარცხალაძე.

4.მეოთხე საკითხი : შპს - ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის "საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები და დიპლომატია
2		-

	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული, გადაწყვეტილება N10 09.09.2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები და დიპლომატია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	მერაბ ალექსიძის N10. ქ.თბილისი, საქართველო.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოსწევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხისზეპირი მოსმენა

ექსპერტებისპოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ჯგუფის ონლაინ ვიზიტი შპს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში შედგა 2021 წლის 3 ნოემბერს გაწერილი დღის წესრიგის მიხედვით, გასაუბრება შედგა შემდეგ ჯგუფებთან/ადამიანებთან: - უნივერსიტეტის ადმინისტრაცია - პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი - პროგრამის ხელმძღვანელი - ხარისხის უზრუნველყოფის 4 სამსახურის ხელმძღვანელები - პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი - პროგრამის სტუდენტები - პროგრამის კურსდამთავრებულები - დამსაქმებლები. გარდა ამისა, დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით მოხდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, და სხვ.) დათვალიერება, რომელიც მოემსახურება საბაკალავრო პროგრამის ფუნქციონირებას. დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება გაგრძელდა 10.00-დან 18.30 საათამდე. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ პროგრამის შეფასებამ ჩაიარა კონსტრუქციულ გარემოში; რესპონდენტები იყვნენ ინფორმატიულები, მომზადებულები და გულწრფელები, რამაც ექსპერტთა ჯგუფს მისცა ადეკვატური და ობიექტური შეფასებების გაკეთების შესაძლებლობა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი გაეცნოს დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ,,არგუმენტირებულ პოზიციას“, და მიიჩნია, რომ იმდენად რამდენადაც დაწესებულებამ წარმოადგინა მხოლოდ მოსაზრებები, რაც არ იყოს გამყარებული შესაბამისი ფაქტობრივი გარემობებით და არგუმენტაციით, ექსპერტთა ჯგუფმა უცვლელად დატოვა საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების დასკვნა

შპს - ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის "საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, სწავლის შედეგები ნათლად იყოს წარმოდგენილი პროგრამაში, რათა პროგრამის პროგრამის სწავლის შედეგები იყო მკაფიო და გაზომვადი, ასევე, მნიშვნელოვანია, რომ მოდიფიცირდეს სამიზნე ნიშნულები და განისაზღვროს გაზომვადი ინდიკატორები.
2. პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობა ითვალისწინებდეს ინგლისური ენის სათანადო დონეზე ცოდნას ანდა პროგრამაში ინგლისური ენის არ მცოდნე სტუდენტებისთვის შეთავაზებულ იქნეს ენის შესწავლის დამწყები სასწავლო კურსები და არა პირდაპირ ინგლისური ენა (B1+) დონის სასწავლო კურსი.
3. პროგრამის სასწავლის შედეგების უკეთ მიღწევისა და გაზომვის მიზნით, რეკომენდებულია, „საბაკალავრო ნაშრომი“ გახდეს სავალდებულო კომპონენტი;
4. ინგლისურენოვანი სასწავლო კურსებისთვის (1.Introduction to Foreign Policy Analysis; 2.English composition: expository writing; 3.Energy Security and Energy Policy; 4.English composition: persuasive writing; 5.US Economic System; 6.Practice of International Organisations in respect of Georgia; 7.Socio-Cultural Meaning of the Holocaust (English); 8.Theories of Culture ; 9.Sociology of City წინაპირობად მინიმუმ განისაზღვროს სასწავლო კურსი ინგლისური ენა (B2-II).

5. სასწავლო კურსი “კონფლიქტი, მშვიდობა და უსაფრთხოება” განისაზღვროს სასწავლო კურსის “საქართველოში არსებული კონფლიქტების ანალიზის” წინაპირობად;
6. სასწავლო კურსი “ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა”, გახდეს სასწავლო კურსის “კონფლიქტი, მშვიდობა და უსაფრთხოების” წინაპირობა.
7. სასწავლო კურსი “საერთაშორისო ურთიერთობების თეორია” გადავიდეს მე-2 სემესტრის შემდგომ რომელიმე სემესტრში.
8. სასწავლო კურსის ,,კლასიკური პოლიტიკური თეორიები“ სილაბუსში, რომლის შინაარსი ერთგვარი ჰიბრიდია პოლიტიკური აზრის ისტორიის და პოლიტიკური ფილოსოფიის, სათაური შესაბამისობაში მოვიდეს კურსის შინაარსთან.
9. სასწავლო კურსის - „თანამედროვეობის ისტორიის “ სილაბუსში, კურსის სათაური, კურსის მიზანი, სწავლის შედეგი და კურსის თემატიკა თანხვედრაში მოვიდეს ერთმანეთთან.
10. სასწავლო კურსის ,,თანამედროვე პოლიტიკური თეორიები“ სილაბუსში საბაკალავრო დონის სწავლების შესაბამისი ლიტერატურის მითითება.
11. სასწავლო კურსის ,,კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“ სილაბუსში სწავლის შედეგების რეფორმულირება საბაკალავრო დონის შესაბამისად.
12. რეკომენდებულია, პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის ყოველ სემესტრულ დატვირთვის სქემაში აისახოს ინფორმაცია პერსონალის დატვირთვის შესახებ ყველა იმ უსდ-ში, სადაც ის არის დასაქმებული.
13. რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააქტიუროს მუშაობა პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის განხორციელებისა და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით. აღნიშნული მიმართულებით ჩაატაროს შესაბამისი ტრეინინგები და სამუშაო შეხვედრები.
14. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ, განსაკუთრებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, უნდა გააქტიუროს მუშაობა პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების მექანიზმების (განსაკუთრებით, შრომის ბაზრის კვლევისა და უცხოური ანალოგიური პროგრამების დადარების შედეგების პროგრამის განვითარების პროცესში ასახვის საკითხი), პროცედურებისა და აღნიშნული ღონისძიებებით განხორციელებული შედეგების გამოყენებასთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ინსტიტუცია არ იზიარებს ექსპერტთა მოსაზრებას, რომ კრიტიკული აზროვნება მხოლოდ მაგისტრატურის საფეხურისთვის დამახასიათებელი უნარია. საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით, საბაკალავრო საფეხური არ გამორიცხავს სტუდენტის მხრიდან კრიტიკულ აზროვნებას. კვალიფიკაციათა ჩარჩოდან კარგად ჩანს, რომ სამაგისტრო საფეხურზე საუბარია რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკულ ანალიზზე და ზოგადად კრიტიკული აზროვნების უნარზე, არ შეიძლება ამ სიტყვების იმგვარად ინტერპრეტირება, რომ ეს საბაკალავრო დონეზე, ან თუნდაც უფრო დაბალ საფეხურზე ზოგადად კრიტიკულ აზროვნებას გამორიცხავს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა მოსაზრებას.
მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საკითხი მნიშვნელოვნად მოწესრიგდება, თუ პროგრამის განხორციელების ენაში გაჩნდება ჩანაწერი ,,ქართული ენა (ინგლისურენოვანი კომპონენტით)“. სწორედ ამგვარად იყო ფორმულირებული პროგრამაში ჩანაწერი 2018 წლამდე, მაგრამ 2018 წლის ხარისხის

განვითარების ეროვნული ცენტრის მოთხოვნის საფუძველზე ჩაიწერა მხოლოდ ,,ქართული ენა“. ამგვარი პრაქტიკის არსებობა ზუსტად უპასუხებს სტუდენტის, დარგის და სახელმწიფოებრივი ამოცანების ინტერესს.

რაც შეეხება მე-3 რეკომენდაციას, დაწესებულების მოსაზრებით ექსპერტთა მოცემულ შეფასებას არ უნდა ჰქონდეს რეკომენდაციის ხასიათი, რადგან ის შეიძლება ჩაითვალოს მათ პირად შეხედულებად პროგრამის არქიტექტონიკასთან დაკავშირებით და არა სტანდარტთან მიმართებით. პროგრამის სასწავლო კურსებში, გათვალისწინებულია სწავლა-სწავლების და შეფასების ისეთი მეთოდები და კრიტერიუმები, რომლებიც საბაკალავრო საფეხურზე კვლევითი ნაშრომის წერის უნარის განვითარებას ემსახურება. რაც შეეხება სწავლის შედეგების გაზომვის მიზნით საბაკალავრო ნაშრომის სავალდებულოდ გათვალისწინებას, დაწესებულება ეთანხმება, რომ ის არის სწავლის შედეგის გაზომვის კრიტერიუმი, ეს პროგრამიდანაც ჩანს, მაგრამ არა ერთადერთი. ამ მიზანს ემსახურება სასწავლო კურსებში საბაკალავრო დონის შესაბამისად და მოცულობით ისეთი აქტივობების და შესაბამისად შეფასებების გამოყენება, როგორიცაა, რეფერატი, არგუმენტირებული ესე, ანალიტიკური ესე, აღწერილობითი ესე და აშ.

მნიშვნელოვანია ასევე დაწესებულების მოსაზრება მე-5 და მე-ე რეკომენდაციებთან მიმართებით, კერძოდ ზემოაღნიშნულ რეკომენდაციებში მითითებული სასწავლო კურსები არ წარმოადგენს მემკვიდრეობის პრინციპის მქონე სასწავლო კურსები და მათ დამოუკიდებლად სწავლება ემსახურება ერთ კონკრეტული კომპეტენციის გამომუშავებას, სტუდენტმა პროგრამის დასრულების შემდეგ შეძლოს გლობალური, ეროვნული და ლოკალური უსაფრთხოების პრობლემების გადაწყვეტის თანამედროვე ტენდენციების აღწერა და შეფასება.

რაც შეეხება მე-7 რეკომენდაციას, ,,საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“ არის მთავარი შესავალი კურსი, რომელიც სტუდენტს უხსნის გზას სხვა საგნებისკენ, რადგან იგი შეეხება არა მხოლოდ საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებს, არამედ, საუნივერსიტეტოს სივრცეში ახლად ფეხშედგმულ სტუდენტს ზოგადად აცნობს რა არის მეცნიერება, მეცნიერული ანალიზი, რამდენად არის საერთაშორისო ურთიერთობები მეცნიერება, რას შეისწავლის როგორ და როდის ჩამოყალიბდა. შესაბამისად, საჭიროა ეს საგანი ისწავლებოდეს პირველ კურსზე. კურსი თავისი შინაარსით არის მიმართულების მიმცემი სტუდენტებისთვის, არსად ძირითად მაპროფილებელ საგანს, რომელიც სტუდენტს გააცნობს შერჩეული პროფესიის საფუძვლებს უფროს კურსებზე არ ისწავლება.

მე-8 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტისთვის გაუგებარია ექსპერტთა პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ თითქოს საგნის სათაური შესაბამისობაში არ მოდის მის შინაარსთან. საქმე იმაშია, რომ კლასიკური პოლიტიკური თეორიები ნიშნავს კლასიკური პოლიტიკური მოაზროვნეების ძირითადი თეორიული შეხედულებების, შრომებისა და მიგნებების განხილვას და გაანალიზებას. ისევე როგორც გაუგებარია პოლიტიკური თეორიის გამიჯვნა პოლიტიკური ფილოსოფიისგან, ეს ორი ტერმინი თავისი შინაარსიდან და მიზნებიდან გამომდინარე სინონიმურად გამოყენებადი ტერმინებია.

რაც შეეხება მე-9 რეკომენდაციას, როდესაც საუბარია თანამედროვე ისტორიაზე, ის არ არის მარტო პოლიტიკური ისტორია, პირველ რიგში ის არის ახალი აზროვნების, ზაალი ანთროპოლოგიის და ახალი ონტოლოგიის შექმნის პერიოდი, სადაც სამყაროს აღქმები რადიკალურად იცვლება, ამიტომ პოლიტიკის იდეოლოგიის სფეროში ადამიანის ცხოვრების მიმართულების გაცნობა ხდება კურსის მთავარი მიზანი. რაც შეეხება შენიშვნას რუსული ლიტერატურის გამოყენებასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ დამხმარე ლიტერატურაში მხოლოდ ორი რუსული სახელმძღვანელოა გამოყენებული, ორივე ავტორი არის აღიარებული ისტორიკოსი.

მე-10 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ გაუგებარია უკმაყოფილება კურსში მითითებულ სავალდებულო ლიტერატურასთან მიმართებაში. სავალდებულო ლიტერატურა წარმოადგენს იმგვარ სახელმძღვანელოს, სადაც თავმოყრილია თანამედროვე პოლიტიკის თეორეტიკოსების ნაშრომების ნაწილი, ამონარიდები

მათი ნაშრომებიდან თარგმნილი ქართულ ენაზე. ამ სახელმძღვანელოს შეტანა შესაძლებელია საბაკალავრო დონეზეც, მითუმეტეს როდესაც ამ საგნის წინაპირობას წარმოადგენს კლასიკურით პოლიტიკური თეორიები. რაც შეეხება ექსპერტთა მტკიცება სიგმასთან დაკავშირებით, რომ კურსები ეხება პოლიტიკური მეცნიერების მდგომარეობას, დაწესებულებისთვის გაუგებარია. სილაბური აგებულია სწორედ იმ თანამედროვე მეცნიერთა და თეორეტიკოსთა ნაშრომებზე, რომლებიც ავითარებდნენ თანამედროვე პოლიტიკურ თეორიებს.

რაც შეეხება მე-11 რეკომენდაციას, კვლევის მეთოდების კურსი არის თითქმის პრაქტიკული საგანი, რომლის მთავარი მიზანი არის არა უბრალოდ თეორიული ცოდნების მიწოდება სტუდენტებისთვის მეთოდებთან მიმართებით, არამედ მათთვის ანალიტიკური საქმიანობის წარმართვის სწავლება. ამდენად, ამ უნარის გამომუშავების გარეშე მოცემული კურსის სწავლება მიზანს მოკლებულია და ეს ეხება რა თქმა უნდა საბაკალავრო დონესაც. შესაბამისად, რეკომენდაცია აზრს მოკლებულია , რადგან ამ მასში მოცემული უნარების გამომუშავების გარეშე კვლევის მეთოდების საგნის სწავლებას აზრი არ აქვს.

მე-12 რეკომენდაციასთან მიმართებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ინსტიტუცია არ იზიარებს მოცემულ რეკომენდაციას, იმ საფუძვლით, რომ ეს არის საკითხი, რომელზეც სისტემატურ ზედამხედველობას ახორციელებს ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ხარისხის მენეჯმენტის ელექტრონული ბაზის მეშვეობით. უნივერსიტეტის ვალდებულებაა აღნიშნულ ბაზაში ყოველი სემესტრის დასაწყისში განაახლოს ინფორმაცია დაწესებულებაში დასაქმებულ პირებთან, მათ შორის დატვირთვასთან დაკავშირებით. ასევე განახორციელოს კონტროლი სხვა დაწესებულების მიერ აღნიშნული ინფორმაციის ასახვასა და განახლებაზე. სწორედ ამიტომ, უნივერსიტეტმა ექსპერტთა ჯგუფს მოთხოვნის შესაბამისად მიაწოდა ინფორმაცია რომელზე მათ ხელ არ მიუწვდებათ. ეს არის დაწესებულებაში პირის დატვირთვის კონკრეტული სქემა, საიდანაც განზოგადებული ინფორმაცია გადადის ხარისხის მენეჯმენტის ელექტრონულ ბაზაში.

რაც შეეხება მე-13 რეკომენდაციას, დაწესებულებას მოცემული საკმაოდ ზედაპირული ეჩვენება საკითხის მნიშვნელობიდან და უსასრულობიდან გამომდინარე. შესაბამისად, დაწესებულება ფიქრობს, რომ უნივერსიტეტის ხარისხის განვითარების სამსახურის ნებისმიერ სახის და მოცულობის აქტივობა არასაკმარისია ამ მიმართულებით მით უმეტეს მხოლოდ კოლექტიური ტრენინგებითა და შეხვედრებით ვერ ამოიწურება. პროგრამის სილაბურებიდან გამომდინარე, მრავალფეროვანია როგორც სწავლა-სწავლების მეთოდი, ისე შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები. ამის მიღწევა სწორედ ხარისხის სამსახურის და ლექტორების მჭიდრო და ხანგრძლივი ურთიერთობის შედეგად მოხდა, მათთან ინდივიდუალურ მუშაობის შედეგად. უნივერსიტეტის კერძო სამართლებრივი სტატუსი და მოცულობა საჯარით საგანმანათლებლო დაწესებულებებისგან განსხვავებით, იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ხარისხის სამსახური არ შემოიფარგლოს ზოგა ტრენინგებითა და რეკომენდაციების და უშუალო ურთიერთობა ჰქონდეს პერსონალთან, ასევე უშუალოდ იყოს ჩართული პროგრამის შემუშავების და მოდიფიცირების პროცესში.

მე-14 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ რეკომენდაციის განსაზღვრის საფუძველი შეიძლება ყოფილიყო არა ფორმალიზებული დოკუმენტი, რომლის შედგენაც არ იქნება რელევანტური საუნივერსიტეტოს ცხოვრებაში, რადგან შეიზღუდება არა მარტო პროგრამის ხელმძღვანელთა, არამედ პროგრამის განხორციელებაში ჩართული მთელი პერსონალის აკადემიური თავისუფლება და თავისუფალი ნება, ვინაიდან ანალოგის გამოყენება პროგრამაში მხოლოდ სწავლის შედეგის ჩამოყალიბების ან/და სასწავლო კურსის გათვალისწინების დოს არ ხორციელდება. ის პირველ რიგში საფუძვლიანად შეისწავლება სასწავლო კურსის შინაარსის გათვალისწინებს დროს და ამას აკეთებს თითოეული სილაბუსის ავტორი, რაც კარგად ჩანს პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსების შესწავლითაც.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ კარიერის ცენტრთან ერთად მუდმივად ხდება ამ კუთხით მუშაობა და შრომის ბაზრის მოკვლევა, განსაზღვრული მეთოდოლოგიის საფუძველზე. წარმოდგენილი ანგარიში მოიცავს ყველა კომპონენტს, მათ შრის ზოგადი მდგომარეობის შეფასებასაც. შრომის ანგარიშში ასევე წარმოდგენილია ინფორმაცია მოთხოვნა მიწოდების შესახებაც, რომლის დროსაც გამოყენებული იყო კომბინირებული მეთოდი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ შრომის ბაზრის კვლევის ფარგლებში წარმოდგენილ დოკუმენტში მითითებულია 2019 წელი. თუ მოცემული კვლევა შესრულებულია 2019 წელს, რამდენად ვალიდურია მისი შედეგები დღეს. ვიანიდან 2020 წლის პანდემია პრინციპულად შეცვალა რიგი საკითხები. რაც შეეხება ფინანსებს, დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს სკოლის ბიუჯეტი, თუმცა აქედან ძნელია დასკვნის გაკეთება პროგრამის ფინანსურ მდგრადობასთან დაკავშირებით. შესაბამისად საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს საკითხის განმარტებისკენ. მნიშვნელოვანია ასევე რომ, პროგრამის ფარგლებში ისწავლება მხოლოდ ერთი ეკონომიკური საგანი, მაშინ როცა 21-ე საუკუნეში საერთაშორისო ურთიერთობებთან მიმართებები ეკონომიკას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს.

საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ დააზუსტა ინგლისურ ენასთან დაკავშირებით, კერძოს ყველა კურსი იწყება თუ არა B1 და ასეთ შემთხვევაში რა დოზით არის სავალდებულო ინგლისური ლიტერატურა წარმოდგენილი და არის თუ არა აღნიშნული დაძლევადი სტუდენტებისთვის. საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა ისტორიის სასწავლო კურსი, რომლის მიზანშიც წერია საქართველო, შედეგის ნაწილი ეთმობა მე-20 საუკუნის მსოფლიო აქტორებს, ხოლო შემდგომ იწყება კაპიტალიზმის გენეზისი. რაც შეეხება კვლევის მეთოდებს, კვლევის მეთოდების ერთი სასწავლო კურსი, ბაკალავრის სტუდენტს ვერ მისცემს შესაბამის ცოდნას, რომ მან ჩაატაროს დამოუკიდებელი კვლევა. გარდა ამისა, სილაბუსში არ არის წარმოდგენილი მონაცემთა ანალიზი და რაოდენობრივი კვლევა. გარდა ამისა, ერთ კვირაში ისწავლება რაოდენობრივი და თვისობრივი მექანიზმების შედგენას.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა მე-4 და მე-5 სწავლის შედეგთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ შედეგები ტექნიკურად სწორად არის ფორმულირებული და ერთი შეხედვით გაზომვადია. თუმცა თუ განვიხილავთ დარგობრივ ჭრილში, ბაკალავრი დონეზე სიღრმისეული კომპეტენცია ხომ არ არის. რამდენად შესაძლებელია პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე რეალურად ამ სწავლის შედეგების მიღწევა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ყოველ წელს დაწესებულებაში მსგავსი ანგარიში კეთდება. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია 2019-2020 წლის შრომის ბაზრის კვლევა, თუმცა ტექნიკურად 2020 წლის მითითება აკლდა დოკუმენტს.

რაც შეეხება ფინანსური მდგრადობის საკითხს, როდესაც საუბარი იყო განსაზღვრულიყო პროგრამის თუ სკოლის ბიუჯეტი აღმოჩნდა, რომ ისინი ფარავდნენ ერთმანეთს, აქედან გამომდინარე გაკეთებულია სკოლის ბიუჯეტი. სკოლის ფარგლებში ხორციელდება 8 პროგრამა. რისკი ის, რომ პროგრამასთან მიმართებაში შეიძლება ნაკლები სტუდენტი მოვიდეს გააზრებული აქვს უნივერსიტეტს და აქვს შესაბამისო ფონდები, ვინაიდან აღნიშნული ასევე წარმოადგენს საკანონმდებლო რეგულაციას.

მნიშვნელოვანია ასევე ეკონომიკური საგნების საკითხი, პროგრამაში მოცემულია ,,საერთაშორისო ეკონომიკური საკითხების“ სასწავლო კურსი, ასევე ,,მიკროეკონომიკა“, და ,,მიკროეკონომიკა“.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტები შეფასებებს აკეთებენ აკრედიტაციის სტანდრატებიდან გამომდინარე და საკითხთან დაკავშირებით 2.1 სტანდარტის მოთხოვნაა წინაპირობები შესაბამისობაში იყოს პროგრამის შინაარსთან და სტრუქტურასთან. ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ სტუდენტების სწავლას იწყებენ B1 დონიდან, ასევე დარგობრივ კურსებში დიდი დოზით არის ინგლისურენოვანი ლიტერატურა, რომლის დასაძლევადაც საჭიროა ეროვნულ გამოცდაზე მაღალი ქულის მიღება,
რაც შეეხება კვლევის მეთოდებს, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საუბარია კვლევის საბაკალავრო დონეზე განხორციელებაზე. კვლევა საბაკალავრო და სამაგისტრო დონეზე თავისთავად განსხვავებულია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 21:55
დასრულების დრო: 23:10

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული საერთო შეფასება. საბჭომ ცალკეულ კომპონენტებში დაამატა ან/და ამოიღო რეკომენდაციები და რჩევები, ასევე, რამდენიმე რეკომენდაციას შეუცვალა ფორმულირება, რის შედეგადაც 1,1 კომპონენტი ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, თუმცა ამით პირველი სტანდარტის შეფასება არ შეიცვალა. ასევე, 2,1 კომპონენტი ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა ამით მეორე სტანდარტის შეფასება არ შეცვლილა.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1.ინგლისურენოვანი სასწავლო კურსებისთვის (1.Introduction to Foreign Policy Analysis (English); 2.English composition: expository writing (English); 3.Energy Security and Energy Policy (English); 4.English composition: persuasive writing (English); 5.US Economic System (English); 6.Practice of International Organisations in respect of Georgia (English); 7.SocioCultural Meaning of the Holocaust (English); 8.Theories of Culture (English); 9.Sociology of 16 City (English) წინაპირობად მინიმუმ განისაზღვროს სასწავლო კურსი ინგლისური ენა (B2-II);
2. რეკომენდებულია დაზუსტდეს სასწავლო კურსების („საქართველოში არსებული კონფლიქტების ანალიზის“,„კონფლიქტი, მშვიდობა და უსაფრთხოების“) წინაპირობები;
3 რეკომენდებულია სასწავლო კურსების ,,კლასიკური პოლიტიკური თეორიები“, „თანამედროვეობის ისტორია“ შინაარსი შესაბამისობაში მოვიდეს სათაურთან;
4 პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად გადაიხედოს სასწავლო კურსი "კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებაში" შედეგები და კურსის შინაარსი ისე, რომ გათვალისწინებული იქნეს დარგის სპეციფიკა;
5 რეკომენდებულია, პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის ყოველ სემესტრულ დატვირთვის სქემაში აისახოს ინფორმაცია პერსონალის დატვირთვის შესახებ ყველა იმ უსდ-ში, სადაც ის არის დასაქმებული;
6 რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააქტიუროს მუშაობა პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის განხორციელებისა და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით. აღნიშნული მიმართულებით ჩაატაროს შესაბამისი ტრეინინგები და სამუშაო შეხვედრები;

7 რეკომენდებულია გააქტიურდეს მუშაობა პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების მექანიზმების.

რჩევები:

1. სასურველია, შრომის ბაზრის კვლევის მეთოდოლოგიის გაუმჯობესება და მიზნობრივად საგანმანათლებლო პროგრამის საჭიროებისთვის კვლევის განხორციელება, რომ უკეთ გამოიკვეთოს დარგობრივი კომპეტენციების მიმართულებით შრომის ბაზრის მოთხოვნილებები;
2. სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების აკუმულირებული ფორმით წარმოდგენა, რაც გააუმჯობესებს მის გაზომვადობას;
3. სასურველია მოხდეს სწავლის მერვე, მეცხრე და მეათე შედეგების, რომელიც ეხება ავტონომიურობას და პასუხისმგებლობას, აკუმილირებული სახით ფორმულირება;
4. პროგრამის სასწავლის შედეგების უკეთ მიღწევისა და გაზომვის მიზნით, რეკომენდებულია, „საბაკალავრო ნაშრომი“ გახდეს სავალდებულო კომპონენტი;
5. სასურველია,პროგრამის ძირითად სავალდებულო სასწავლო კურსებში გაიზარდოს დიპლომატიის წილი.
6. სასურველია პროგრამაში შეთავაზებულ იქნეს არჩევითი კურსის სახით ინგლისური ენის საწყისი კურსი სხვა ენით ჩარიცხული სტუდენტებისათვის.
7. სასურველია სტუდენტთა ისეთი მხარდამჭერი სისტემების, როგორიცაა შიდა გრანტები, სტუდენტთა კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობის, სტიმულირება;
8. სასურველი იქნება უფრო მეტი მემორანდუმის გაფორმება და პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავება ქვეყანაში მოქმედ შესაბამის საჯარო სტრუქტურებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან პრაქტიკის განსახორციელებლად;
9. სასურველია, უნივერსიტეტმა განახორციელოს აქტიური ღონისძიებები აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული ზრდისა და განვითარებისკენ მიმართულ ღონისძიებებში პერსონალის კიდევ უფრო აქტიურად ჩართულობის უზრუნველსაყოფად;
10. სასურველია, „საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას ჰქონდეს უშუალოდ პროგრამული დონის ბიუჯეტი, რათა შემცირებული სტუდენტური კონტინგენტის პირობებში პროგრამის ფინანსური მდგრადობა მეტად თვალსაჩინო გახდეს;
11. სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უზრუნველყოს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ეფექტიანი ჩართულობა პროგრამის შემუშავების, მოდიფიცირებისა და შეფასების პროცესში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე ედააყენა: შპს - ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის "საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წელში ანგარიშის წარდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის "საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია 1 წელში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

23:15 საათზე სხდომას შემოუერთდნენ: ნინო ინასარიძე და მაკა კაჭარავა.

5.მეხუთე საკითხი : სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ქიმიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქიმია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული, გადაწყვეტილება N15, 02.03.2020
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ქიმია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ქიმიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0503
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	მ.კოსტავას ქ.,N69, თბილისი, II სასწავლო კორპუსი, 0171, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა- ელიზბარ ელიზბარაშვილმა, დავით კაპანაძემ, ნინო იმნაძემ
საფუძელი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან
აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას წარუძღვა საბჭოს წევრი ნიკა თიკანაშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტებისპოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ვიზიტამდე 3 დღით ადრე მოხდა ექსპერტების შეხვედრა პროგრამა Zoom-ში და ვიზიტის დეტალური დაგეგმვა. სტუ-ში ვიზიტი შედგა 6 ნოემბერს და გაგრძელდა დაგეგმილი განრიგის შესაბამისად დილის 9 საათიდან 18:00-მდე. ჯგუფში შედიოდა 4 ექსპერტი (რევაზ კორაშვილი, ელენე კაცაძე, ია ნაცვლიშვილი და თამარ ხატისაშვილი) და ჯგუფის ვიზიტზე მივლენილი იყო ცენტრის წარმომადგენელი. ვიზიტის ფარგლებში მოხდა სტუ-ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება. შემდგომ ექსპერტებმა გადავინაცვლეთ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი). პროგრამა Zoom-ის გამოყენებით მოეწყო ონლაინ შეხვედრები პროგრამაში ჩართულ ყველა პირთან, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან, სტუდენტებთან, ყოფილ სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან. ვიზიტმა ჩაიარა სამუშაო ატმოსფეროში, ტექნიკური უნივერსიტეტის მხრიდან იყო ყველანაირი ხელშეწყობა და მზაობა ვიზიტის სრულყოფილად განსახორციელებლად. დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტაცია დროულად და სრულყოფილად მიეწოდათ ექსპერტებს.
ექსპერტების მოსაზრებით, 6 ნოემბრის მდგომარეობით თოთხმეტივე რეკომენდაცია შესრულებულია ან მეტწილად შესრულებულია. შედეგად ქიმიის საბაკალავრო პროგრამა ხუთივე სტანდარტში შესაბამისობაშია სტანდარტებთან. ბოლო ორ წელიწადში სამწუხაროდ გამოვლინდა ახალი პრობლემა, მიღებული სტუდენტების რაოდენობის მკვეთრი შემცირება, რაც აისახა ახალ რეკომენდაციაში. აღნიშნული პრობლემა საჭიროებს დაუყოვნებლივ რეაგირებას.
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ქიმიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაცია:

1. დაიგეგმოს და განხორციელდეს სტუდენტების მოსაზიდად აუცილებელი ღონისძიებები

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, კერძოდ პროგრამამ 2020 წლის 2 მარტის №15 გადაწყვეტილებით მიიღო პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით. ბოლო მოდიფიკაცია პროგრამამ განიცადა 2021 წლის 20 აგვისტოს აკადემიური საბჭოს №01-05-04/125 დადგენილების საფუძველზე. მოდიფიცირების მიზანია აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების დაკმაყოფილება, ასევე; -შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების დაზუსტება და შესაბამისობის უზრუნველყოფა; -უცხოური საგანმანათლებლო პროგრამების საუკეთესო გამოცდილების გაზიარება; -სწავლის შედეგების შეფასების ანალიზის გამოყენება საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით; -სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნა/განვითარება.
მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულება სრულიად იზიარებს ექსპერტთა რეკომენდაციას. ამ ეტაპზე პროგრამა წარმოდგენილია 139 სტუდენტით. აუცილებელია აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტი უკვე 2 წელია ახორციელებს უფასო მოსამზადებელ პროგრამას აბიტურიენტებისთვის მთელი საქართველოს მასშტაბით. გარდა ამისა უნივერსიტეტის მარკეტინგული სტრატეგიის ფარგლებში აქტიურად ხდება მუშაობა სტუდენტების მოზიდვის მიზნით.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა დააზუსტა, თუ რამდენად რეკომენდაციის შინაარსი აქვს დასკვნაში არსებულ რეკომენდაციას, რომელიც უნივერსიტეტის მარკეტინგულ სტრატეგიას უკავშირდება. აღნიშნული უფრო ავტორიზაციის სტანდარტებს უკავშირდება, შესაბამისად რამდენად წარმოადგენს აღნიშნული რეკომენდაციას და არა რჩევას.
სხდომის თავმჯდომარემმიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტმა განმარტა, რომ სტუდენტების რაოდენობის შემცირება საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხია, ვანიდან სტუდენტების გარეშე პროგრამას აზრი ეკარგება. ინტერვიუების დროს თანამშრომლებმა ახსენეს ორი პრობლემა, რის გამოც მოხდა რაოდენობის შემცირება. ერთი ის, რომ სავალდებულო გახდა მათემატიკა, ხოლო მეორე პრობლემად დასახელდა კოვიდ პანდემია. აღნიშნული მისაღებია, თუმცა რამდენად მოხდება მდგომარეობის ცვლილება ამის გაჭვრეტთ შეუძლებელია.
ბოლო ორი წლის განმავლობაში: 2018 და 2019 წლებში – 51 სტუდენტი, 2020 – 3 სტუდენტი, 2021 არცერთი. ეს პრობლემა შესაძლოა გამოწვეული იყოს არსებული პანდემიით და მისაღებ გამოცდებზე მომხდარი ცვლილებებით. 2020 წლიდან ქიმიის მიმართულებაზე სწავლის დასაწყებად აბიტურიენტებს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მესამე საგნად სავალდებულოდ მათემატიკის არჩევა უწევთ, 2020 წლამდე უფრო მეტი არჩევანი არსებობდა. სავარაუდოდ ამან

მოახდინა გავლენა ქიმიის მიმართულებაზე სწავლის მსურველთა რაოდენობაზე, რაზეც არ მომხდარა ადეკვატური რეაგირება უსდ-ს მხრიდან. ქიმიის პროგრამის გრძელვადიანი მდგრადობისთვის აუცილებელია პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის მატება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 23:40
დასრულების დრო: 23:55

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული საერთო შეფასება. საბჭომ ცალკეულ კომპონენტებში დაამატა ან/და ამოიღო რეკომენდაციები და რჩევები, ასევე, რამდენიმე რეკომენდაციას შეუცვალა ფორმულირება, რის შედეგადაც 1,2 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, თუმცა ამით პირველი სტანდარტის შეფასება არ შეიცვალა. ასევე, 4,3 კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მედწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა ამით მეოთხე სტანდარტის შეფასება არ შეცვლილა.
დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია მატერიალურ-ტექნიკური და ლაბორატორიული ბაზის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული შესყიდვების და სარემონტო სამუშაოების დროული განხორციელება.

რჩევები:

1. სასურველია დაიგეგმოს და განხორციელდეს სტუდენტების მოსაზიდად აუცილებელი ღონისძიებები.
2. სასურველია გაძლიერდეს ინგლისური ენის კომპონენტი.
3. სასურველია დაიხვეწოს არჩევითი საგნების შეთავაზების მექანიზმი.
4. სასურველია ინგლისური ენის შემსწავლელი კურსების ორგანიზება აკადემიური პერსონალის ენობრივი კომპეტენციის ამაღლების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ქიმიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ საქართველოს ტექნიკური „ქიმიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 23:58 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
იმნაძე ნინო



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
თიკანაშვილი ნიკა



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ